# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 4 მაისი. 2018 წ. №91 (8492), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ამ კვირის „ხოხბები“

# ბიუჯეტიდან მოგლეჯილი ხე და სპილენძის საწუწნი პრეზიდენტისთვის



---

## საინტერესოა, სად მოძებნა მარგველამ აბაშიშვილი?!

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის შეთავაზებას, პრეზიდენტთან სატელევიზიო დებატებთან დაკავშირებით, უღირსი და არასერიოზული უწოდა.

**„კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციის უზრუნველყოფის ნაცვლად, რომელიც საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ დებატების წარმართვას გულისხმობდა, უმრავლესობის მხრიდან მივიღეთ ყოვლად უღირსი და არასერიოზული შეთავაზება.**

**გუშინ პრეზიდენტი მზად იყო, კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქცია შეესრულებინა, გაეკეთებინა მოხსენება, რაც მან გააკეთა კიდეც და შემდგომ შესულიყო დებატებში ყველა ტელევიზიის თვალწინ, პირდაპირ ეთერში. სამწუხაროდ, უმრავლესობამ მას ამის საშუალება არ მისცა. უმრავლესობა გაექცა ამ დებატებს.**

**გასაგებია, უმრავლესობისთვის ერთპარტიული პერფორმანსი ყველაზე უფრო კომფორტულია და ისინი დარჩნენ ამ კომფორტის ზონაში. სამწუხაროა, რომ ქვეყანა ამ გზით მიჰყავთ“,** – აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

* * *

საქართველო მართლაც პარადოქსების ქვეყანაა. ჯერ პრეზიდენტის თავკერძა შეწყალებები, „ფილოსოფიური წიაღსვლები“ ვერ მოგვინელებია, ახლა კიდევ ვინმე აბაშიშვილი გვიშლის ნერვებს – უმრავლესობა დებატებს გაექცაო!

რატომ იტყუებით პრეზ. ადმ. უფროსო?! უმრავლესობა გაიქცა თუ თავად მისი აღმატებულება „მთავარსარდალი“?! განა რას იტყოდნენ ასეთს „ქოცები“? მაინც რატომ წარმოადგინა პროფესორმა მარგველაშვილმა ასეთი უსახური, 20-წუთიანი გამოსვლა? რატომ აიგდო მთელი საქართველო მასხრად?“ სად გაიქცა ასე ნაადრევად“?! ბოლოს და ბოლოს, ხუთი წლის გამოცდილების მქონე პრეზიდენტს მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი?!

ღმერთო, შენ უშველე საქართველოს და ცოდვები მიუტევე უღირს შვილებს!..

## ლიტვამ უარი თქვა „გრუზიაზე“ და ამიერიდან SAKARTVELAS გვიწოდებს

ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიამ 3 მაისს ლიტვურ ენაში საქართველოს ავთენტური დასახელება – Sakartvelas დამკვიდრების შესახებ გადაწყვეტილება დაამტკიცა. ლიტვურ ენაში აქამდე არსებულ დასახელებასთან ერთად, გამოყენებული იქნება სახელწოდება Sakartvelas.

ამიერიდან, უკვე ოფიციალურად დაიწყება შემდეგი ტერმინოლოგიის გამოყენება. მაგალითად, საქართველოს საელჩო (ამჟამად GruzijosAmbasada) იქნება „საქართველოს ამბასადა“ (Sakartvelo Ambasada), კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში (ამჟამად Sveiki atvyke i Gruzija) – Sveiki atvyke i Sakartvela, ქართველი (ამჟამად Gruzinas) – Kartvelas, ხოლო ქართული ენა (ამჟამად gruzinu kalba) – kartvelu kalba და ა.შ.

## როცა არ არის მშვიდობა, ომია, მა რა ჯანდაბაა! 6



## ქართველთა საყვარელი შვილი ნონა გაფრინდაშვილი 5



## ეროვნული თასი – ქუთაისურებს!

გუშინ ახალ ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა კალათბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩი:

„ქუთაისი“ – „კაქტუსი“ 67:65.



## კახა ოქრიაშვილი: ჩვენი ბანკები ეკონომიკის დამუხრუჭების კლასიკური მაგალითია! 2

## როსტომ ჩხეიძე, როგორც ლირიკის მთარგმნელი

# რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...



7

## „სხვა საქართველო სად არის?!..“



„სხვა საქართველო სად არის?!..“ – სადაც მიშა კორუფციაზე ლაპარაკობს, მელია კანონიერებაზე, გვარამია კაცობაზე, ნათელაშვილი პრეზიდენტობაზე, ბოკერია კაცთმოყვარეობაზე, „პედერასტები“ დედობაზე, ლესბოსელები მამობაზე და ამ ქალმა თლათ გადამრია... გუგული მაღრაძე – ჭარბ წონაზე?!

მერაბ ხაჩიძე



## პრობლემებზე წერეთ, ილაპარაკეთ, მაგრამ პოზიტივსაც ნუ დაივიწყებთ!

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მედიის წარმომადგენლებს თავისუფალი პრესის მსოფლიო დღე მიულოცა.

**„3 მაისი თავისუფალი პრესის მსოფლიო დღეა. მინდა, მოგილოცოთ მედიის წარმომადგენლებს!**

**ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოხდა მედიის თავისუფლების კუთხით.**

**საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ამ ცვლილებას ძალიან დადებითად აფასებს. 2011-2012 წლებში, პრესის თავისუფლების შეფასების კუთხით ამ ყველაზე მაღალი რეპუტაციის ორგანიზაციის რეიტინგში საქართველოს 105-ე ადგილი ეკავა, დღეს კი 61-ე ადგილზე ვართ. სხვათაშორის, ვუსწრებთ არაერთ ევროპულ სახელმწიფოს და მგონია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაცია.**

**ვფიქრობ, ეს არის დიდი მონაპოვარი, რომელსაც გაფრთხილება უნდა. რამდენიმე დღის წინათ ამ ორგანიზაციამ სამი საფეხურით კიდევ უფრო მაღლა, 64-დან 61-ე ადგილზე წაანაცვლა საქართველო, რაც უდავოდ ძალიან კარგია.**

**მინდა, თხოვნით მივმართო მედიის წარმომადგენლებს — ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ როგორც პრობლემებზე, ასევე პოზიტივზე საუბარი. ხვალინდელი დღის იმედი არის აბსოლუტურად მატერიალური. ის ამოძრავებს ეკონომიკას, ინვესტიციებს, ადამიანებს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივაზე პოზიტიურ მოლოდინებს უქმნის და ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყანაში ასეთი მოლოდინები არსებობდეს, მით უმეტეს, რომ მათ ამისთვის აბსოლუტურად ობიექტური საფუძველი აქვთ“.**

## პროფესიული განათლების ახალი სისტემა

მთავრობა პროფესიული განათლების ახალი სისტემის შექმნას იწყებს. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა პაკეტი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცეს.

**„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვიწყებთ სრულიად ახალ ეტაპს ევროპაში არსებული თანამედროვე მოდელების გათვალისწინებით, ეს გახლავთ ძირითადად გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში აპრობირებული მოდელები. ცვლილებები გულისხმობს პროფესიული განათლების ახალი სისტემის შექმნას. კერძოდ, განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები:**

**პირველი — პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრაცია, ანუ ჩნდება ატესტატის მიღებისა და პროფესიული განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა;**

**ცვლილებები ასევე ქმნის პროფესიული განათლების საფეხურზე მიღებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე ჩათვლის შესაძლებლობას;**

**მოხდება სამუშაოზე დაფუძნებული — ე.წ. დუალური სწავლების ფორმის განსაზღვრა და მისი პრიორიტეტიზაცია;**

**ცვლილებები ასევე აჩენს ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას;**

**ჩამოყალიბდება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემა არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, არამედ ზრდასრულთათვის განხორციელდება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მიზანი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს კვალიფიკაციის მინიჭება, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცალკეული კომპეტენციების განვითარება, ცოდნის გაღრმავება, გადამზადება და ა.შ.**

**დაინერგება ინკლუზიური განათლების სისტემური მიდგომები;**

**სახელმწიფო პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, მათ შორის, სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის (მომსახურების) გაწევის უფლება მიენიჭებათ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია;**

**ჩამოყალიბდება მასწავლებლების მომზადების, კარიერული წინსვლის სისტემა;**

**იქმნება არაფორმალური და ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია;**

**კანონპროექტი სრულ შესაბამისობაშია ევროსტანდარტებთან, მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებთან.**

## ქართველებო, გაგებით მოეკიდეთ თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის ამოქმედებას!

პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას სთხოვს, რომ თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის ამოქმედებას გაგებით მოეკიდონ. კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე შსს-ს მოუწოდა, კანონის აღსრულებაზე ეფექტური კონტროლი განხორციელდეს.

**„1 მაისიდან დაიწყო თამბაქოს კოტროლის შესახებ ახალი კანონის მოქმედება, რომლის თანახმადაც საქართველო რეგიონში ხდება მოწინავე ქვეყანა ამ თვალსაზრისით. საქართველოში თამბაქოსგან გამოწვეული სიკვდილიანობა არის 22%, ხოლო მსოფლიოში — 10%. ეს არის კატასტროფული მაჩვენებელი. მოვუწოდებ მოსახლეობას და ვთხოვ, გაგებით მოეკიდონ ამ კანონს. ჩვენ უნდა დავიცვათ თამბაქოს კვამლისგან ჩვენი მოქალაქეები, განსაკუთრებით ბავშვები და დადგენილია მსოფლიოში, რომ ასეთი კანონის მოქმედება მკვეთრად ამცირებს თამბაქოს მოქმედებას. განსაკუთრებით ბიზნეს-სუბიექტებს, რომლებსაც ეს ეხებათ, მოვუწოდებ გაგებით მოეკიდონ ამას. რა თქმა უნდა, მოვუწოდებ შს სამინისტროს, რომ ეფექტურად განახორციელოს ამ კანონზე კონტროლიც!**

## საქართველო 2021 წელს კულტურული მარშრუტების ევროპულ ფორუმს უმასპინძლებს!

**საქართველო 2021 წელს კულტურული მარშრუტების ევროპულ ფორუმს უმასპინძლებს,** — გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინათ ლუქსემბურგში ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) მმართველი საბჭოს შეხვედრაზე მიიღეს.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ განაცხადა, ფორუმს 32 წევრი ქვეყნიდან 300-მდე მოწვეული სტუმარი დაესწრება. ეს ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად ჩვენი ქვეყნის წარმოჩენისთვის, მისი მემკვიდრეობის გაცნობისა და ფორუმში მონაწილე ქვეყნებთან კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

**„გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ EPA-ის ბიურო გეგმავს ახალი ინიციატივის — „ქვეყნებში კულტურული მარშრუტების რუკების“ შემუშავებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც განხორციელდება კულტურული მარშრუტების შესახებ კვლევა და რუკის შემუშავება — მეფინგი. ეს არის კულტურული მიმართულებით საქართველოს ნამდვილი ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში, როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობები სრულად იქნება დატანილი ევროპის კულტურულ რუკაზე. ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რომელსაც ჩვენ ახლა ვდგამთ და დარწმუნებული ვარ, ევროპა აბსოლუტურად აღიარებს იმას, რომ საქართველო თავისი კულტურით ჭეშმარიტად არის ევროპის ნაწილი“.**

## თუშეთის 10 ციხე-სოფელი მთელი მშვენიერებით წარმოჩინდება!

მთავრობის მეთაურის თქმით, სამწუხაროდ, დღეისათვის თუშეთის უძველესი ნაგებობების ნაწილი ან დაზიანებულია, ან განადგურების პირას არის მისული. მისივე განცხადებით, პირველ რიგში ძეგლების აღწერა-ინვენტარიზაცია განხორციელდება, ხოლო შემდგომში სრული რეაბილიტაცია დაიგეგმება.

**„თუშეთში ვიწყებთ 10 ციხე-სოფლის რეაბილიტაციის კვლევას. მოგეხსენებათ, თუ რამხელა სიმდიდრეს წარმოადგენს საქართველოსთვის თუშეთი თავისი ულამაზესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობით, თავისი ლანდშაფტით, თვითმყოფადობით.**

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ არ ჩატარებულა არანაირი კვლევა ამ კულტურული მემკვიდრეობის და ჩვენ აუცილებლად უნდა დავგეგმოთ, პირველ რიგში, ამ ძეგლების აღწერა-ინვენტარიზაცია და შემდგომში უკვე სრული რეაბილიტაცია...**

## კახა ოქრიაშვილი: ჩვენი ბანკები ეკონომიკის დამუხრუჭების კლასიკური მაგალითია!

**„ჩვენნაირი განვითარებული ქვეყნისთვის აუცილებელია გრძელვადიანი, არანაკლებ 7-8%-იანი ზრდის მაჩვენებელი. საქართველოს ეკონომიკის მთავარ შემაფერხებლად ჩამოყალიბდა საფინანსო სექტორში არსებული მდგომარეობა როგორც ბანკებსა და ბიზნესს შორის, ისე ფინანსურ სექტორსა და მოსახლეობას შორის. ნიშანდობლივია ინსტიტუციების მართვაში ექსტრემალური გადახრების არსებობა,“** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა კახა ოქრიაშვილმა პარლამენტში განაცხადა.



**„ამის ნათელი მაგალითია ეროვნული ბანკი. წინა წლებში ეროვნული ბანკის მართვაში შეინიშნებოდა ავტორიტარული მეთოდები და შესაძლოა, ეს გარკვეულწილად ეფექტური იყო. არსებული კანონმდებლობით, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ეროვნული ბანკი უნდა იყოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ინსტიტუტი. ჩნდება ეჭვი, რომ კომერციულმა ბანკებმა მოიპოვეს გავლენა ეროვნულ ბანკზე. ნაცვლად იმისა, რომ ეროვნული ბანკი ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ და ძლიერ ინსტიტუციად, ის მოექცა მსხვილი ბანკების გავლენის ქვეშ და იქცა გარკვეულწილად მათი პოლიტიკის გამტარებლად. რა მივიღეთ შედეგად? 2008 წლიდან ბანკებმა დაიწყეს აქტიური ინტერვენცია მათთვის არაპროფილურ ბიზნესსექტორზე. მიუხედავად იმისა, რომ 2014-დან ეროვნულმა ბანკმა გასცა მითითება, რომელსაც უნდა შეეზღუდა ბანკების მონაწილეობა არაპროფილურ ბიზნესში. დღეს სახეზეა შემდეგი მოცემულობა:**

**ბანკებს არა აქვთ მოტივაცია დააკრედიტონ გრძელვადიანი სესხები ბიზნესსექტორში, რადგან ასეთი სესხებიდან ნაკლები შემოსავალი აქვთ.**

**ბანკები ჩამოყალიბდნენ ბიზნესის კონკურენტებად. ოღონდ ეს კონკურენცია უთანასწოროა, არათანაზომიერი რესურსებისა და ბიზნესინფორმაციის წვდომის პირობებში, შედეგად ბიზნესი დამატებითი ინვესტიციებისგან თავს იკავებს. არ შედის ფინანსურ რისკებში და აფერხებს ფინანსურ განვითარებას, ანუ ვიღებთ ეკონომიკის დამუხრუჭების კლასიკურ მაგალითს. დიახ, ბიზნესს აღარ აქვს ხელისუფლების შიში, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას გაუჩნდა ბანკების შიში და ეს არის პირველი მუხრუჭი. ყოველი 1000-დან 700-ს აქვს ბანკის ვალი და ჭარბვალიანობის მაჩვენებლით მსოფიოში მეორე ადგილზე ვართ“,** — განაცხადა კახა ოქრიაშვილმა.

## საქართველოს დროშის გამო პეტერბურგში აქციის მონაწილე დააკავეს




**რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში საპირველმაისო დემონსტრაციიაზე აქტივისტ მაქსიმ რაზმეტოვს საქართველოსა და ევროკავშირის დროშები ეჭირა. ამის გამო ის პოლიციამ დააკავა. პეტერბურგის სასამართლომ, დემონსტრაციის წესების დარღვევისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით გაასამართლა.**

რაზმეტოვს 27 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. კიდევ ერთი აქტივისტი დააკავეს ვლადიმერ პუტინის სურათის გამო. მას პრეზიდენტის პორტრეტი „მკვდართა პარტიის“ კოლონაში მიჰქონდა. რუსეთის სამართალდამცავების ცნობით, საპირველმაისო მსვლელობაში 60 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრაცია პეტერბურგის დაცვის მარშსა და Telegram მესენჯერის მხარდამჭერ აქციას დაემთხვა. მარშის დროს 10-მდე ადამიანი დააკავეს, მათი უმრავლესობა პოლიციის განყოფილებაში უკრაინის დროშებით დემონსტრაციაზე მისვლის გამო მოხვდა. აქციის კიდევ ერთ მონაწილეს ადმინისტრაციული ჯარიმა ბრიტანეთის დროშის გამო გამოუწერეს.

# ბიუჯეტიდან მოგლეჯილი ხე და სპილენძის საწუწნი პრეზიდენტისთვის

**რესპონდენტებს დაბეჯითებით აძახებინეს გამომკითხველებმა, ან აქამდე რა გააკეთა და აწი რის გამკეთებელიაო. არავის მოსვლია აზრად, ეთქვა ის მთავარი, რაც ბიძინამ გააკეთა: მან (სწორედაც რომ მან, ერთმა კაცმა) შექმნა ის გარემო, რომელმაც ნაცისტური მოძრაობა დაამარცხა, მოძალადე სააკაშვილი მოაცილა ხელისუფლებას. და თუ მისმა „მოწაფეებმა“ და გამგრძელებლებმა ვერ შეძლეს ამ გამარჯვების ბოლომდე მიყვანა, ეს სულაც არ არის მისი ბრალი.**

**დიკენსს ერთგან აქვს ასეთი შედარება: პირში ისეთი გემო ჰქონდა, თითქოს მთელი საღამო კარის სპილენძის სახელური ეწუწნოსო.**

რაღაც ასეთი გემო მქონდა ოთხშაბათსა და ხუთშაბათს.

სამშაბათს საღამოს გაბუნიას თახსირ გადაცემას „არჩევანს“ ვუყურე „რუსთავი-2“-ზე.

მართლა თახსირული რამ იყო, თახსირულ მიზანდასახულობათა და თახსირული შეკვეთის თახსირული შესრულებით.

**„როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას?“** — ასეთი იყო „სრულიად საქართველოს“ გამოკითხვის თემა.

გააჭენეს, მაგრამ რა გააჭენეს!

„აღმოჩნდა“, რომ ამერსა და იმერში გამოკითხული 8 თუ 10 ათასი კაცის 90 პროცენტზე მეტი ფიქრობს, რომ ეს დაბრუნება დაღუპავს ქვეყანას.

იქვე იყო ქვეკითხვაც: **„ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს თუ არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან მოსაცილებლად“?** 90 პროცენტი, რა თქმა უნდა, დაჯერებულია, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს...

საერთოდ, ასეთი ექსტრემალური გამოკითხვითი



სტატისტიკა რომ ძირითადად იმ პასუხს იძლევა, რაც დაგეგმილი გაქვს, რისთვისაც ამ კითხვას სვამ, ცნობილია. გაიხსენეთ, ბაზრებსა და ბაზრობებში ჩატარებულ რამდენ გამოკითხვაში „დაამარცხა“ ნაციონალურმა მოძრაობამ „ქართული ოცნება“!..

ოღონდ სამშაბათის გამოკითხვა მაინც სხვა იყო. ასე სამარცხვინოდ დამფრთხალი და ნირწამხდარი ოპოზიცია მე არ მახსოვს.

პირდაპირ თუხთუხებდა მთავარი სამიზნის, უფრო ზუსტად, მთავარი საფრთხობელის ბიძინა ივანიშვილის გაშავების, ჩაწიხვლის, შეურაცხყოფის სურვილი. აშკარად ჩანდა, თუ როგორ აძრწუნებთ, როგორ ეშინიათ ამ კაცის ოფიციალურ პოლიტიკაში დაბრუნება, როგორ აღარ აქვთ მარტო გამკლავების იმედუნარი და ფსონს „ოპოზიციის გაერთიანებაზე“ ჩამოდიან.

ერთიც: სამწუხაროდ ისიც ჩანდა, თუ რა უმადური ადამიანი, რა ადვილად ივიწყებს სიკეთეს.

რესპონდენტებს დაბეჯითებით აძახებინეს გამომკითხველებმა, ან აქამდე რა გააკეთა და აწი რის გამკეთებელიაო. **არავის მოსვლია აზრად, ეთქვა ის მთავარი, რაც ბიძინამ გააკეთა: მან (სწორედაც რომ მან, ერთმა კაცმა) შექმნა ის გარემო, რომელმაც ნაცისტური მოძრაობა დაამარცხა, მოძალადე სააკაშვილი მოაცილა ხელისუფლებას. და თუ მისმა „მოწაფეებმა“ და გამგრძელებლებმა ვერ შეძლეს ამ გამარჯვების ბოლომდე მიყვანა, ეს სულაც არ არის მისი ბრალი.**

ეს ერთი. მეორე — გამოკითხულთა უმრავლესობა ბიძინას გასაბითურებლად მის „მთავარ, წარმოუდგენელ დანაშაულს“ უსვამდა ხაზს: **„მაგ კაცს ბიუჯეტიდან ხე მიაქ“, „ხეებს გლეჯს და ჯიბეს ისქელებს“(???!!!).**

რას უშვება ადამიანებს ეს ოხერი პროპაგანდა და აგიტაცია, რომელსაც აშკარად ასდის ნაცური სუნი.

**ე. ი. ბიძინა ივანიშვილს ხეები შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში ბიუჯეტის ხარჯზე გადააქვს, ხეების გადარგვით „მილიარდებს იმრავლებს“?**

სულ სელაპი უნდა იყო, რომ ეს დაიჯერო! მაგრამ გაჭირვებულ ხალხს სატყუარად მაინც ამას აჩეჩებენ ჩვენი „პოლიტიკური მოწინააღმდეგეები“.

ძალაუნებურად ძველი ანეკდოტი (ან იქნებ სულაც არ იყო ანეკდოტი) გახსენდება: ბოლშევიკი აგიტატორები სოფლად გლეხებს „ტუმბავენ“: „მეფე და მისი ოჯახი ყოველდღე კატლეტს ჭამენ!“, „რაო, კატლეტებსოოო“!.

უპოვარ კაცს მეტი რა უნდა: „ბიძინას სამეგრელოდან ან აჭარიდან უზარმაზარი ხეები გადააქვს და ამაში დიდძალ ფულს ხარჯავს, მაშინ, როცა ხალხი მშიერია. აიღოს და ის ფული ამ მშიერ ხალხს გაუნაწილოს!“ ან „იმ ფულს რომ ხარჯავს, რა თქმა უნდა, მოგებას ნახულობს“...

ერთი სიტყვით, პოლიტიკური ბრძოლა ჩვენში გასცდა ელემენტარული ზნეობის ფარგლებს და მისი ყოველი ახალი ტალღა წუმპედ იღვრება, თორემ...

თორემ რატომ უნდა გამოეწვია ასეთი საყოველთაო აჟიოტაჟი „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ცვლილების შეტანას? დიახ, „ოცნებას“ ამ ეტაპზე სწორედაც რომ დასჭირდა ხელმძღვანელობის გადახალისება, აშკარად შესამჩნევია, რომ ოპოზიცია, ანუ დაუნდობელი მტერი (სამწუხაროდ, ორ პოლიტიკურ ძალას შორის ურთიერთობა სასტიკ მტრობამდეა მისული) არაფერს თაკილობს, ათას მახეს აგებს და ნადირსაჭერ ორმოებს თხრის. „ქართული ოცნება“ კი არა, სულ სათავეში მყოფი კომუნისტური პარტია იცვლიდა ტყავს დრო და დრო (თუნდაც XVII ყრილობა გავიხსენოთ), რათა არ დაჩლუნგებულიყო, არ დაჟანგულიყო. რა არის ამაში ასეთი სააჟიოტაჟო? რომ ხედავ, ის რაღაცას ცვლის, აიღე და შენც შეცვალე, მაგალითად წინააღმდეგობის ხერხები და ფორმები, მოიშორე მელიები და ტურიები...

ეს იყო სამშაბათის სპილენძის საწუწნი და ყველი გიორგი გაბუნიას იმდღევანდელი ვირთხისებური წრიალის ჯილდოდ.

ახლა ოთხშაბათისა ვთქვათ.

ყველაფერს ველოდი, მაგრამ ისეთი ყოვლად პროზაული მოვლენისგან, როგორიც ქვეყნის პრეზიდენტის ყოველწლიური შემაჯამებელი ანგარიშია პარლამენტში, თუ ასეთ შოუს მივიღებდით, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი.

ერთი რამ კი ცუდად მენიშნა თავიდანვე: ბატონი გიორგის გლახად აწითლებული ცხვირ-პირი, მაგრამ მისი შემოსვლა მთლად ამერიკულ ყაიდაზე რომ გა-



მოცხადდა: **„საქარრრთველოს პრრრეზიდენტიიი!“** და პრეზიდენტიც მხნედ ჩამოცქვიტდა კიბეზე, დავმშვიდდი. მაგრამ დიდხანს არ გამყვა სიმშვიდე.

მე არ მგონია, რომ სხვა ქვეყნებშიც ისეთ სერიოზულ მოხსენებას, როგორიც შემაჯამებელი მოხსენებაა, ზეპირად წარმოთქვამენ. მაგრამ კაცია და გუნება, თუ ორატორს თავისი ხელოვნება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ფიდელ კასტროსავით და თავსაც ზედმიწევნით ფლობს, ეგეც შეიძლება! ოღონდ გიორგი მარგველაშვილმა „მამაო ჩვენოსავით“ 23-წუთიანი სიტყვა კი ჩააბულბულა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შემაჯამებელი მოხსენება რა გამოუვიდა. ის ჰგავდა კაცს, რომელსაც დაბეჭდილი მოხსენების ფურცლები აერია და ტრიბუნაზე, პანიკაში ჩავარდნილი, სასწრაფოდ იხსენებს დაწერილს, ოღონდ — ერთმანეთთან დაუკავშირებლად, ფრაგმენტულად, ამიტომ უამრავი მთავარი და მნიშვნელოვანი ვერ გაიხსენა და ნათქვამს ჟესტებსა და მიმიკებს აყოლებდა წონის მისაცემად.

ასე დაასრულა და როგორც კი დებატები დაიწყო, თავზარდაცემული მიხვდა, რომ კარგი დღე არ დაადგებოდა კბილებალესილი პარლამენტარებისგან და სხდომიდან მოცოცხა. პრეზიდენტი პარლამენტიდან გაიქცა! როგორც ჩვენი მუდმივი ავტორი და ერთგული მკითხველი, ქალბატონი **ლონდა მდივანი** გვწერს, **„ვეტოების პრეზიდენტი ბოლომდე გაშიშვლდა“,** ოპოზიციას მეტი რა უნდოდა და გაქცეულ პრეზიდენტს მიჰყვა!

ის დღე საანეკდოტო გახდა. ერთი სიტყვით, ანეკდოტები და შაყირები არ გვაკლდება, ქვეყანა კი ჭრიალებს და სამტროდ ჩასაფრებული ნაცებისა და პრეზიდენტის ჯიბრზე, ნელ-ნელა მიიწევს წინ.

**ალეკო ასლანიშვილი**

## რეპლიკა, რომელიც პრეზიდენტმა არ მოისმინა

# იუსტიციის მინისტრს აინტერესებს, რა კრიტერიუმებით იწყალებს პრეზიდენტი სხვადასხვა დამნაშავეს...

**იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ პრეზიდენტის შეწყალების კრიტერიუმებთან დაკავშირებით კითხვები აქვს. წულუკიანის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე კვირის წინ, შეწყალების წესში ცვლილებები განახორციელა, რომლის თანახმადაც, გაადვილა იმ პირების შეწყალება, რომლებიც სხვადასხვა კორუფციულ დანაშაულთან შემხებლობაში არიან და იხდიან სხვადასხვა დანაშაულზე სასჯელს.**

**„იმედს გამოვთქვამ, რომ პრეზიდენტის ამგვარი ცვლილებები, საქართველოს როგორც კორუფციასთან წარმატებით მებრძოლი სახელმწიფოს რეიტინგებში საერთაშორისო დონეზე არ აისახება და შესაბამისად, მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო, როგორც სახელმწიფო პრეზიდენტის ამ გაუაზრებელი გადაწყვეტილების გამო არ დაზიანდეს. სხვა მხრივ, მეც როგორც იუსტიციის მინისტრს, მაქვს კითხვის ნიშნები, რა კრიტერიუმებით იწყალებს ის სხვადასხვა დამნაშავეს“, — განაცხდა წულუკიანმა.**

**კითხვაზე, უნდა დაიწყოს თუ არა შეწყალების საქმეებზე გამოძიება, წულუკიანი აცხადებს, რომ თუკი არსებობს რაიმე კონკრეტული ფაქტები, ამის შესწავლა უნდა მოხდეს.**

# სექტემბერში 1- 6 კლასების მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების განახლება იწყება

**„სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი არ ესწრება სხდომას, რადგან მინდოდა გამოხმაურება მის განცხადებაზე... ვერ დავეთანხმები ბატონი პრეზიდენტის მოსაზრებას, რომ განათლების სისტემაში, მისი მინისტრობის პერიოდის შემდგომ არაფერი არ გაკეთებულა. მინდა, რამდენიმე ფაქტი მოგიყვანოთ:**

**2012 წლიდან — 2016 წლამდე 626 მლნ ლარიდან განათლების სამინისტროს სექტორალური დაფინანსება პრაქტიკულად გაორმაგდა და 2018 წელს მილიარდ 186 მლნ ლარის რესურსი დავამტკიცეთ. 1100-ზე მეტ სკოლაში 65 000-ზე მეტი მოსწავლე ყოველდღიურად სარგებლობს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტის მომსახურებით. პირველად დამოუკიდებლობის ისტორიაში ქვეყანაში 20 ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო. მიმდინარეობს 94 სკოლის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა. სრულად განახლდება სახელმძღვანელოები და პირველი განახლების ეტაპი სექტემბერში დაიწყება, პირველი — მეექვსე კლასების მოსწავლეეებისთვის. ჩვენ საუბარი გვაქვს შინაარსობრივ განახლებაზე. ინკლუზიურ განათლებაში 7000-მდე მოსწავლეა ჩართული. ჩვენ პრაქტიკულად, ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მშობლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა და უკვე რეალური ნაბიჯები იდგმება სპეცპედაგოგების პროფესიული განვითარების კუთხით“,** — განაცხადა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ **მარიამ ჯაშმა** პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.



# რას ვსუნთქავთ – შხამს თუ სიცოცხლის ჟანგბადს?

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) განაახლა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მსოფლიო რუკა. რუკაზე თვალნათლივ ჩანს საქართველოს ჰაერის ხარისხის დონე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის ტოლია.**

კერძოდ, მონაცემების თანახმად, ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM 2,5) კონცენტრაცია მოქმედი ევროპული ნორმის ფარგლებშია (ევროპული სტანდარტი არის 25 მკგ/მ$^3$) და იგი ერთ კუბურ მეტრ ჰაერში 16-დან 25 მიკროგრამამდე მერყეობს. ქვეყნის ფონურ დაბინძურებასთან შედარებით გადაჭარბებული მაჩვენებელია ქ. თბილისში, სადაც კონცენტრაცია 26-დან 35 მკგ/მ$^3$-ის ფარგლებშია. აღსანიშნავია, რომ საქართველოზე მაღალი დაბინძურების მაჩვენებელი ფიქსირდება ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა (პოლონეთი, იტალია, ბულგარეთი) და აზიისა და აფრიკის უმეტეს ტერიტორიაზე, მათ შორის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცალკეულ ქალაქებში (მაგალითად — კრაკოვი) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ქ. თბილისზე მაღალია.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რუკა ეფუძნება ქვეყნების მიერ მიწოდებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების გაზომვების შედეგებსა და სატელიტური დაკვირვების მონაცემებს. საქართველოს შემთხვევაში გამოყენებულია აბასთუმანში მდებარე ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მონიტორინგისა და თბილისის ფონური დაბინძურების მონიტორინგის სადგურების გაზომვების შედეგები.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მოცულობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით უმნიშვნელოვანესია მონიტორინგის ქსელის განვითარება. ამ კუთხით ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი წინსვლაა. კერძოდ, 2015 წელთან შედარებით, როცა ქვეყანაში მხოლოდ ერთი ავტომატური სადგური ფუნქციონირებდა, 2018 წელს საქართველოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი 7 სტაციონარული და 1 მობილური ავტომატური სადგურისგან შედგება, რეგულარულად ხორციელდება ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვები. მიმდინარე წელს იგეგმება ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, რაც სათანადო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებას მისცემს სამინისტროს.

* * *

**გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის მარტის თვეში ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვების მეთერთმეტე ეტაპის შედეგები საქმიან დილაში გაასაჯაროვა.**

ინდიკატორული მილაკები განთავსებული იყო 25 დასახლებულ პუნქტში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, კასპი, მცხეთა, ოზურგეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი, საჩხერე, ლანჩხუთი, ტყიბული, ჭიათურა, ხაშური, მარნეული, ბოლნისი, სიღნაღი, ყაზბეგი, ჩხოროწყუ).

შესწავლილ მასალაში ევროკავშირის ნორმების შესაბამისად ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრანტების მაღალი ან ძალიან მაღალი ინდექსი არც ერთ ნიმუშზე არ დაფიქსირებულა.

კონკრეტული მონაცემების მიხედვით, აპრილის თვის ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორულ კვლევაში ჰაერის ყველაზე დაბალი ხარისხი ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. 55 ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან ფიქსირდება. ევროკავშირის ნორმების შესაბამისად ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციების 68.35 მკგ/მ$^3$-იანი მაჩვენებელი.

ყველაზე კარგი მაჩვენებელიც ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვების მე-11 ეტაპისას ბათუმშია დაფიქსირებული. კონკრეტულად საბაგირო გზის მანქანების სადგურში ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრანტები 9.15 მკგ/მ$^3$-ია.

ჩატარებული გაზომვების შედეგების მიხედვით ყველა წერტილში გოგირდის დიოქსიდის, ოზონის და ბენზოლის დაბალი მაჩვენებლები აღინიშნა, ასევე აზოტის დიოქსიდის დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა 19 დასახლებულ პუნქტში.

რაც შეეხება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონში, რუსთავსა და თელავში, დაბალი და საშუალო ინდექსები აღინიშნა. ბენზოლის გადაჭარბება ქალაქ ბათუმში მხოლოდ ერთ წერტილში იქნა დაფიქსირებული.

ინდიკატორული გაზომვები პირველად საქართველოში 2015 წელს ჩატარდა, 2015 წელს — 10 დასახლებულ პუნქტში; 2016 წელს — 16 დასახლებულ პუნქტში; 2017 წელს — 20 დასახლებულ პუნქტში; ხოლო მიმდინარე წელს კი ზომვები 25 წერტილში განხორციელდა.

საქართველოს მასშტაბით ინდიკატორული გაზომვები გაგრძელდება. შემდეგი ეტაპი ივნისის თვეში განხორციელდება.

**„კომერსანტი", HTTP:/WWW.BM.GE**

# საეჭვო ხანძრებმა ტყეებში უკვე იფეთქა!..

**ჯერ წლის ცხელი პერიოდი არ დამდგარა, მაგრამ ხანძრის რამდენიმე კერა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე გაჩნდა. უკვე გაჩნდა ეჭვი, რომ ტყეებში ცეცხლი ხელოვნურად ჩნდება. მარტო აპრილში ტყის ხანძრის 3 შემთხვევა იყო. აქედან 2 წინა კვირას მთიან საქართველოში მოხდა. 25 აპრილს ხანძარი გაჩნდა აჭარაში, აბასთუმნის ტყეში. 26 აპრილს კი ხანძარს კობალტის ტყეშიც ებრძოდნენ. ხანძრის პირველი შემთხვევა 10 აპრილს რაჭაში მოხდა, შარლოთის ტყეში ხანძარი დროულად ჩააქრეს.**

მაისის დაწყებისთანავე კი ცეცხლის ახალი კერა გაჩნდა, 1 მაისს ღამით ხანძარმა ბორჯომში, საკირეს ტყეში იფეთქა. რთული რელიეფური პირობების გამო, ადგილზე მობილიზებული იყო დამატებითი ჯგუფები ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ქარელის, კასპის, გორის, ხარაგაულისა და ხაშურის დანაყოფებიდან. ხანძრის ჩაქრობის პროცესში სულ მონაწილეობდა 6 სახანძრო-სამაშველო მანქანა და 150-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი. თბილისიდან ხანძრის ქრობის განყოფილებიდან დამატებით 5-კაციანი ჯგუფი გაიგზავნა. საბოლოო ჯამში ცეცხლი ჩაქრობა მოხერხდა, მაგრამ 2 ჰექტარი ტყე დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი მღებრიშვილმა** ხანძრის ბუნებრივად გაჩენა კატეგორიულად გამორიცხა.

**„მიზეზი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ არის ადამიანური ფაქტორი. ყველანაირად გამოვრიცხავ ბუნებრივ მომენტს, რადგან ამ პერიოდში ბუნებრივად ხანძრის გაჩენა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. სოფელ საკირეში ხანძრის გამომწვევი ადამიანური ფაქტორია. მიზანმიმართული იყო თუ დაუდევარი მოქმედება, ამას, ალბათ, კომპეტენტური ორგანოები დაადგენენ",** — განაცხადა მღებრიშვილმა.

ამ მოსაზრებას ეთანხმებიან სპეციალისტებიც. ეკოლოგ **ნინო ჩხობაძეს** ნაადრევად ტყის ხანძრების გაჩენა აეჭვებს და დაუფარავად ამბობს, რომ მომავალში მეტი საფრთხეა მოსალოდნელი.

**„მართლაც ნაადრევად გაჩნდა ხანძრები საქართველოს ტყეებში, როცა „სეზონი" ჯერ კიდევ არ არის დამდგარი, რაც ძალიან დიდ ეჭვს აღძრავს. თანაც ისეთ ადგილებში გაჩნდა ცეცხლი, სადაც მიუვალი ტყეებია. ბოლომდე არც არის დადგენილი, რა იყო მიზეზი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეს ადამიანის ჩარევის გარეშე არ მომხდარა. ზოგადად, ტყის ხანძრები ასეთი მასშტაბებით არ იყო დამახასიათებელი საქართველოსთვის, ახლა კი ყველაფერი პირიქითაა. ეს ეჭვს აძლიერებს",** — აღნიშნა ჩხობაძემ.

რამდენად მომზადებული ხვდება ცხელ ზაფხულს საგანგებო სიტუაციების სამსახური და რა გაკეთდა 2017 წლის ზაფხულის გამოცდილების შემდეგ ხანძრის უმოკლეს ვადებში ლოკალიზებისთვის? საგანგებო სიტუაციების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი **მიხეილ ფეიქრიშვილი** ამბობს, რომ საჭიროა უფრო მეტი მობილიზება ხანძრის კერების ჩასაქრობად.

**„აქედან გამომდინარე ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელიც გერმანული ფირმის „მანის" სახანძრო მანქანებმა მოიგო. ამ ეტაპზე გვყავს 19 სახანძრო მანქანა და თითოეული მათგანი იტევს სამ ტონა წყალს. მათი მეშვეობით, მიუვალ ადგილებშიც აღარ გაგვიჭირდება ხანძრის ჩაქრობა და ეს მანქანები გადანაწილდება ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც ტყეეში შესაძლო ხანძრის ალბათობა მაღალია,** — აღნიშნა ფეიქრიშვილმა.



საგანგებო სიტუაციების სამსახურმა შემოიტანა დიდი რაოდენობით დრონები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ტყეების 24-საათიანი მონიტორინგი. უახლოეს თვეებში საქართველოში ფირმა „როზენბაუერის" მიერ და პირველად ისტორიაში, საქართველოშივე აეწყობა სახანძრო მანქანები.

**ბექა დანელია**

## მსოფლიოში ჰაერის ხარისხით საუკეთესო ქვეყანა დასახელდა



**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ფინეთი არის მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანა ჰაერის ხარისხის მიხედვით. ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, რეიტინგში ფინეთის შემდეგ არიან ესტონეთი, შვედეთი, ნორვეგია და ისლანდია. ყველაზე ცუდი ჰაერის ხარისხი დაფიქსირებულია უახლოესი და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისევე როგორც აფრიკაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის ხარისხის ყველაზე უარესი მდგომარეობა უგანდაში, მონღოლეთში, ყატარსა და კამერუნშია.**

## 2018 წლის 4 თვეში საქართველოს 2,060,264 საერთაშორისო მოგზაური ეწვია



**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2018 წლის 4 თვეში საქართველოს 2,060,264 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 282,544-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა (15.9%)-ია. იანვარ-აპრილის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 937,370 შეადგინა, რაც 200,409-ით მეტია 2017 წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებელზე (ზრდა +27.2%).**

## ხანძარი სამტრედიაში

**სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩაზე, შენობის მესამე სართულზე ცეცხლი გაჩნდა. დამწვარია 120კვ.მ ფართობი. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე მობილიზებული იყო 6 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა და 26 მეხანძრე-მაშველი. ხანძარი ოპერატიულად ჩააქრეს!**

# ქართველთა საყვარელი შვილი
# ნონა გაფრინდაშვილი



**ტიტულებით დახუნძლული, ყველასგან პატივცემული, ერის სიამაყე, მას თამამად შეეძლო ყველანაირი პრივილეგიით ესარგებლა, თუმცა იგი მაინც უპრეტენზიო, უბრალო ადამიანია. სამეფო გვირგვინმა ვერ შეცვალა მისი პატიოსანი და კეთილშობილი ხასიათი. თუმცა ერთი პრივილეგია სამუდამოდ შერჩა — ქალბატონი ნონა არის და მუდამ იქნება პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი.**

1941 წლის 3 მაისს ქალაქ ზუგდიდში დაიბადა გოგონა, რომელსაც ბედისწერამ ქართველი ხალხის სიყვარული არგუნა. საქართველოში საკმარისია სახელი ნონა წარმოსთქვათ და უკვე ყველამ იცის, ვისაც გულისხმობთ. დამეთანხმებით, ასეთი პატივი ერთეულების ხვედრია. თუმცა მოდით, თავიდან დავიწყოთ.

1961 წელს, 19 წლის ასაკში, ნონა გაფრინდაშვილმა, საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მოიგო. აქვე, საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა და პრეტენდენტთა ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვა. იქ გამარჯვება კი იმას ნიშნავდა, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის დაუმარცხებელ ელისაბედ ბიკოვასთან შეხვედრის უფლება ეძლეოდა. ცნობილმა რუსმა დიდოსტატმა მიხეილ ტალიმ იმ დროს თამამი პროგნოზი გააკეთა: ქალ მოჭადრაკეთა კაბადონზე ახალი ვარსკვლავი გამობრწყინდა და დიდ ცვლილებებს ელოდეთო. ნონას დიდ ნიჭს ბევრი აღნიშნავდა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ მოვლენები ასე ელვისებური სისწრაფით განვითარდებოდა. ქართველმა მოჭადრაკემ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან თამაშის უფლება იოლად მოიპოვა და კიდევ უფრო იოლად ჩამოაგდო ეს უკანასკნელი ტახტიდან. ანგარიში ასეთი იყო: 9:2. შვიდი მოგება და 4 ყაიმი. 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა! ამ მატჩის მსვლელობისას თბილისში სხვა სალაპარაკო თემა არ არსებობდა. ორი ნაცნობი ერთმანეთს რომ ხვდებოდა, პირველი კითხვა ასეთი იყო: ნონა რას შვრება, ხომ არ იციო, თუ ამან არ იცოდა, საუბარში აუცილებლად რომელიმე გამვლელი ჩაერეოდა და თავის კომპეტენტურ აზრსაც იტყოდა, ამას სხვები მიემატებოდნენ და ისე როგორ იქნებოდა, ვინმეს ცნობილი მოჭადრაკე ნათესავი ან მეგობარი არ ჰყოლოდა. ასე ჯგუფ-ჯგუფად მთელი ქალაქი განიცდიდა, ღელავდა და მოუთმენლად ელოდა ტურნირის დასასრულს. თუმცა ასაღელვებელი არაფერი იყო, როგორც მოგახსენეთ, ნონა დიდი უპირატესობით იგებდა, მაგრამ რაღაც ქვეშეცნეული შიში მაინც არსებობდა. ცოტა ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს პატარა გოგო ასე თამაშ-თამაშ უსწორდებოდა გვირგვინოსან მეტოქეს.

თავად ქალბატონი ნონა იმ პერიოდს ასე იხსენებს: „ძნელია სიტყვებით გადმოვცე, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, როცა მოსკოვიდან გამოვემგზავრე. მატარებლით წამოვედით და სოხუმს რომ გამოვცილდით, ლამის ყოველ სადგურზე ვჩერდებოდით, ხალხი ვაგონში გვივარდებოდა, მილოცავდნენ, ყვავილებით მავსებდნენ. თბილისში ხომ საერთოდ საოცრება მოხდა, წარმოუდგენელი სანახაობა იყო. მგონი, მაშინ უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე ბიკოვასთან მატჩში. ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას დღემდე ვგრძნობ და ძალიან მადლობელი ვარ. უფრო მეტი სიმდიდრე არც მინდა“.

თამამად შემიძლია, ვთქვა და, ალბათ, დამეთანხმებით, არ მეგულება საქართველოში მეორე სპორტსმენი, ვისაც ასე ხელისგულზე ატარებდეს ხალხი, ვინც ასეთი სიყვარულითა და ყურადღებით სარგებლობდეს და მის სიტყვასაც ისეთივე წონა ჰქონდეს, როგორც ეს ქალბატონი ნონას შემთხვევაშია. ერთი ცნობილი ფაქტი მახსენდება, რომელიც თითქოს თბილისში გამართულ სუპერტურნირზე მოხდა. ამბობენ, როცა ნონა მორიგ სვლაზე ჩაფიქრდა, ამ დროს მის მაგიდას მიუახლოვდა ცნობილი მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანი, რომელიც თბილისში გახლდათ დაბადებულ-გაზრდილი და ქართულიც მშვენივრად იცოდა. პეტროსიანმა შეამჩნია, რომ ნონას ძალიან ძლიერი სვლა ჰქონდა ცხენით და მოუნდა ეკარნახა, მაგრამ ამისთვის ორივე დაისჯებოდა. მაშინ ის ოდნავ გასცდა ნონას მაგიდას და ვითომ საკუთარ თავს აგულიანებსო, ისე დაიძახა: აჩუ! აჩუო! თავად ქალბატონი ნონა ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, თბილისელი ტაქსისტების მონაჭორს უწოდებს და რა უფლება მაქვს, არ ვერწმუნო. როდესაც ერთხელ მას ჰკითხეს: რა არის თქვენთვის ჭადრაკიო, ასე უპასუხა: „ეს არ არის მხოლოდ თამაში — მე ვისვენებ, დიდ სიამოვნებას ვიღებ. საკმარისია, ჭადრაკის დაფასთან აღმოვჩნდე, ხელში ავიღო რომელიმე ფიგურა და ყველა უარყოფითი ემოცია, უსიამოვნო განცდა, შფოთიანი აზრები მაშინვე ქრება. მთლიანად ამ შავ-თეთრი ფიგურების სამყაროში გადავდივარ. იქნებ დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჭადრაკის თეორიის შესწავლით თავს არ ვიკლავდი. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ — ყველა პარტია თამაშდებოდა რაღაც შინაგანი ინტუიციით, რაღაც გამიელვებდა ტვინში და თავისით მოდიოდა გადაწყვეტილება, როგორი კომბინაცია ამეწყო, რა მოყვება ამ კონკრეტულ სვლას, ჩემთვის საჭადრაკო ცხოვრება არ დასრულებულა. სიამოვნებით ვიღებ მიწვევებს სხვადასხვა ტურნირებზე და ადრინდელივით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ თამაშიდან, თუ ეს შეგრძნება გაქრება — აღარ ვითამაშებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავკარგავ ყველაზე ძვირფასს — არსებობის აზრს“.

**ქალბატონი ნონა მუდამ იდგა თავისი ხალხის გვერდით; იმ ხალხის, ვინც XX საუკუნის საუკეთესო ქალ სპორტსმენად აღიარა და მისთვის ზღვა სითბო და სიყვარული არ დაიშურა. ტიტულებით დახუნძლული, ყველასგან პატივცემული, ერის სიამაყე, მას თამამად შეეძლო ყველანაირი პრივილეგიით ესარგებლა, თუმცა იგი მაინც უპრეტენზიო, უბრალო ადამიანია. სამეფო გვირგვინმა ვერ შეცვალა მისი პატიოსანი და კეთილშობილი ხასიათი. თუმცა ერთი პრივილეგია სამუდამოდ შერჩა — ქალბატონი ნონა არის და მუდამ იქნება პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი.**

**გუშინ ნონას დაბადების დღე იყო, ვულოცავთ!**

**თამაზ ჩიქვანაია**

# აღიარებული გეოლოგი

## აკადემიკოსი დავით შენგელია 85 წლისაა

**გამოჩენილ ქართველ გეოლოგ-მეცნიერს, პეტროლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, გეოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგის — მეტამორფული და მაგმური ქანების აღიარებულ მკვლევარს, აკადემიკოს დავით შენგელიას 85 წელი შეუსრულდა.**

მან პირველმა დაამკვიდრა ქანების მინერალოგიური კვლევები პეტროლოგიური საკითხების გადასაწყვეტად, შეისწავლა ცვლადი შედგენილობის პარაგენეტური მინერალების წონასწორობა და მინერალური პარაგენეზისების ფიზიკურ-ქიმიური პირობები გრანიტოიდულ და მეტამორფულ ქანებში; დაასაბუთა კავკასიაში რეგიონული მეტამორფიზმის ყველაზე მაღალტემპერატურული საფეხური — გრანულიტური ფაციესი; დაადგინა მეტამორფული წარმოშობის ზონალური პლაგიოკლაზები და გაშიფრა მათი გენეზისი. შეძლო შეუთავსებადი მინერალების თეთრი ქარსისა და რქატყუარის წონასწორობის გაანალიზება; მსოფლიო ლიტერატურაში პირველად აღწერა შავი ფერის პორფირობლასტური კალიუმის მინდვრის შპატი და გაშიფრა მისი წარმოშობის პირობები.



მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით დამუშავებულია გრაფიტული თერმომეტრი, რაც თანამედროვე პეტროლოგიის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს;

აკად. დ. შენგელიამ თანაავტორებთან ერთად მინერალების მიკროზონდური ანალიზის საფუძველზე ჩაატარა კავკასიის ყველა ტერეინის ალპურისწინა კრისტალური წარმონაქმნების გეოთერმობარომეტრული კვლევები; 1984-2006 წლებში გამოავლინა მრავალი ალპურისწინა ტექტონიკური ზეწარი კავკასიის კრისტალინიკუმში, გამოყო ახალი წყებები კავკასიონის კრისტალურ გულში და ლოქის კრისტალური მასივის ფარგლებში პირველად დაადგინა და დეტალურად შეისწავლა ალპურისწინა მეტაოფიოლიტური კომპლექსი.

ბატონი დავითის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შესრულდა კავკასიონის კრისტალინიკუმის მასშტაბური შესწავლა, რაც აისახა 1991 წელს მოსკოვში დასტამბულ მონოგრაფიაში „Петрология метаморфических комплексов Большого Кавказа“, რომელსაც 1992 წელს ალ. ჯანელიძის სახელობის პრემია მიენიჭა.

აკად. დავით შენგელია არის თანაავტორი და რედაქტორი რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული 1:200 000 მასშტაბის ორი საერთაშორისო რუკისა, რომლებსაც თან ახლავს მონოგრაფიული ხასიათის ახსნა-განმარტებითი ბარათი.

ამავე დროს, მან გრანიტოიდების ფორმირების პროცესში ტექტონიკური ზეწრების როლის შეფასების შუქზე, გრანიტოიდების საყოველთაოდ ცნობილი გენეტური ტიპების გარდა, გამოყო მათი ორი ახალი გენეტიკურ-გეოდინამიკური ტიპი - U და T ტიპები და დაადგინა მათი ფართო გავრცელება კავკასიის ყველა ტერეინში.

ბატონი დავითი აკადემიკოს ე. გამყრელიძესთან ერთად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, დღემდე იკვლევს კავკასიის კამბრიულისწინა და პალეოზოურ-რეგიონული მეტამორფიზმის, მაგმატიზმისა და გეოდინამიკის საკითხებს ფილების ტექტონიკის თეორიისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევების კონცეფციის სინთეზური გამოყენების საფუძველზე. ერთობლივ მონოგრაფიაში — И, П, Гамкрелидзе, Д. М. Щенгелия, „Докембрийско-палеозойский регионалный метаморфизм, гранитоидный магматизм и геодинамика Кавказа“ (Москва, Научный мир, 2005) ავტორებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს არსებული წარმოდგენები კავკასიის კრისტალური ფუნდამენტის ამგები ქანების ასაკის, ურთიერთდამოკიდებულების, რეგიონული მეტამორფიზმის, მაგმატიზმისა და მათი წარმოშობის გეოდინამიკური პირობების შესახებ. ამ წიგნმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და მას 2008 წელს ალ. თვალჭრელიძის სახ. პრემია მიენიჭა.

აკად. დ. შენგელია 240-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის, 8 მონოგრაფიის. აქედან 35-ზე მეტი სტატია დასტამბულია მაღალრეიტინგულ უცხოურ პერიოდულ ჟურნალებში.

იგი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში (MNTU, INTAS, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა).

ბატონი დავითი, რომელიც წლების მანძილზე მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, კომისიისა და კომიტეტის წევრი იყო, დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის ათწლიან სამეცნიერო მიმართულებას.

განსაკუთრებულია მისი დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, მის მიერ აღზრდილია გეოლოგ-მეცნიერთა მთელი თაობა.

ვულოცავთ ბატონ დავითს ღირსშესანიშნავ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დაუცხრომელი ენერგიის შენარჩუნებასა და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესრულებას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ეროვნული სიამაყე — სახელმწიფო დიდოსტატი

**მართალია, საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენი მზე რუსეთიდან ამოვიდაო, მაგრამ ჩრდილოეთიდან ამოსულ მზეში მუდამ ჩრდილები სჭარბობდა. მინდა, მკითხველს გავაცნო ერთი „ჩრდილოვანი“ მოგონება. ჩვენი სამშობლოსადმი რუსეთის ისტორიულად მტრული დამოკიდებულება არც ტოტლებენით დაწყებულა, არც უძველესი საეკლესიო მოხატულობის კირის შეთეთრებით და არც „მცოცავი ოკუპაციით“. ცალმხრივი სიძულვილი და შური მუდამ თან სდევდა ამ ურთიერთობას.**

**აღნიშნულის მაგალითია თუნდაც დამოკიდებულება ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილისადმი, რის შესახებაც ყურმოკვრით ვიცოდით, რადგან ნონას არ უყვარდა ამაზე ლაპარაკი.**

**დაახლოებით 30-40 წლის წინათ (ზუსტი თარიღი ნონას ეცოდინება), როცა საქდესის მთარგმნელად ვმუშაობდი (საქდესი იყო საკდესის — TACC — ფილიალი. აქ ითარგმნებოდა TACC-იდან გამოგზავნილი მასალები და ეგზავნებოდა გაზეთებსა და რადიო-ტელევიზიას), მოვიდა ცნობა, რომ ნონა გაფრინდაშვილს დიდოსტატს ქალთა შორის, მიენიჭა „Звание национального гроссмейстера“, ანუ დიდოსტატობა ვაჟებს შორის, სახელმწიფო დიდოსტატის წოდება. მაგრამ რატომ დაწერეს национальный? ყოველი შემთხვევისთვის, ტელეტაიპით მივწერე TACC-ში, ხომ ნიშნავს-მეთქი звание национального гроссмеистера დიდოსტატობას ვაჟთა შორის-მეთქი? ჰო, ნიშნავსო, მიპასუხეს, მაგრამ ისე დაწერე, როგორც რუსულშიაო. ვკითხე დირექტორის მოადგილეს, თავად ვერ გადაწყვიტა და დარეკა ცეკაში. იქაც იგივე თქვეს: ისე დაწეროს, როგორც რუსულშიაო. მე მაინც დავწერე „ვაჟთა შორის“, მაგრამ „კომუნისტმა“ გაასწორა და დაიბეჭდა „ეროვნული“ (ნონას ეხსომება).**

**ჯერ მოსკოვმა მოინდომა, თავისი ჭკუით ნონას წოდების „გაპუსტიაკება“ (ეროვნული, ერთი შეხედვით, რესპუბლიკურს ნიშნავს), მერე კი ჩვენმა ცეკატეკამ გაუქიცინა TACC-ს კუდი.**

**რა დააკლეს ამით ნონას?**

**არჩილ მანჯგალაძე**

# როცა არ არის მშვიდობა, ომია, მა რა ჯანდაბაა!



**რა არის ომი და ვინ მოიგონა იგი, — ვეკითხები ჩემს თავს და იქვე ჩნდება პასუხიც, — ომი სიკვდილია და სიკვდილი მოიგონა სიცოცხლემ (შეიძლება პირიქითაც!)... რამ მოაგონებინა, სიცოცხლე ხომ ისეთი ლამაზია და მშვენიერი, სიცოცხლე მარადი გაზაფხულია, ამოყვავილებული, ამოვარდებული, ამომწვანებული, თბილი, სანუკვარი... რატომ მოიგონა ამ მშვენიერებამ ისეთი საშინელება, როგორიც სიკვდილია — ბნელი, მზაკვარი, ცბიერი, ყველგან რომ დაბობღავს, არავითარ კვალს რომ არ ტოვებს, ისე ამიწებს და ისე აშავბნელებს სიცოცხლეს. მაინც მოიგონა, დაიპირისპირა... არა, კი არ დაიპირისპირა, არამედ დაიმეგობრა კიდეც და დღემდე ისინი ერთად მოდიან ცხოვრების გზაზე.**

ცხოვრება სიცოცხლის სიკვდილთან თანადგომაა. ისინი თანაბრად ინაწილებენ ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილს დიდი ტკივილი და მწუხარება მოაქვს, მაინც არავის უკვირს მისი არსებობა, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ სიკვდილის უკან ახალი სიცოცხლე მოდის.მაგრამ სულ სხვა რამ არის ომის მიერ მოტანილი სიკვდილი, რადგანაც იგი არ არის სიკვდილ-სიცოცხლესავით ბუნებრივი, პირიქით, ხელოვნური წარმონაქმნია და მას საფუძვლად ბოროტება უდევს. დიდი უბედურებაა ომი, არღვევს ცხოვრების კანონით დაწესებულ ბალანსს, მეტი სიბნელე, მეტი სიკვდილი მოაქვს... ომი სისასტიკე და ძალადობაა, თუმცა მხოლოდ სისასტიკესა და ძალადობას შეუძლია გადაწყვიტოს ადამიანების ბედიო — ამბობენ ომის წამომწყებნი და მათი მომხრენი. ალბათ თავიანთი „შემოქმედება" რომ გაამართლონ. მათ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ბუნების მკვლევარი და დიდი მოაზროვნე კლოდ ლორენცი — სასტიკ და მოძალადე მსოფლიოში მე არ ვინდომებდი ცხოვრებასო!

დიახ, არ ვინდომებდით, ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული. სისასტიკე და ძალადობა თუ არ ანადგურებს, აბეჩავებს კი ნამდვილად კაცობრიობის მოდგმას. არადა, მსოფლიო თითქმის გამუდმებული ომების ქარცეცხლშია.

ოცდამეერთე საუკუნე დაგვიდგა და არ ნელდება ომების ხანძარი. ხან სად იფეთქებს იგი და ხან სად! საშინელებაა, როცა თავს გესხმიან და შენს სამშობლოზე ძალადობენ მეზობელი ხალხები, როცა ერთ დროს თავშესაფრის საშოვნელად მოსული, შენივე დაპურებული, შენივე გულკეთილობითა და პატივისცემით გაზულუქებული „მოყვარე" სახლ-კარში ურცხვად შემოგისახლდება, ცეცხლითა და მახვილით გაგაგდებს მამაპაპური მიწიდან... და რა უნდა ქნა, როცა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გაფრთხილებენ, ფრთხილად იყავით, მსოფლიო ომი არ გამოიწვიოთო, თითქოს სწორია ეს გაფრთხილება, განა არ ვიცით ,რომ ომის მაძიებლებს ყველგან და ყველაფერში შეუძლიათ ომის გაჩაღების მიზეზი იპოვონ. ჩვენც ვუფრთხილდებით ამ თეზას, თავს ვიკავებთ ჩვენი ნერვებისა და სულიერი დაძაბულობის ფასად... ამასობაში რა ხდება?

ჩვენი თავშეკავება მსოფლიოს რას უშველის. განა იგი ისედაც ომის ქარცეცხლში არ არის გახვეული? განა დღევანდელი კაცობრიობის ფიქრი, აზრი და ტვინი, მთელი ინტელექტუალური ძალა ადამიანების გამანადგურებელ ახალ-ახალ იარაღის გამოგონებაზე არ მუშაობს? არ წყნარდებიან დიდი სახელმწიფოები, ერთმანეთს ეჯიბრებიან ძვირფასი საბადოებით მდიდარი და მოხერხებული გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე მიწებისა და ქვეყნების მითვისებაში და განა ყოველივე ამას ცეკვა-თამაშითა და სიმღერით აღწევენ! საითაც გაიხედავ, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში საშინელი, დაუნდობელი, მძვინვარე ომია გაჩაღებული. ინტერნეტის საშუალებით, არ ვხედავდეთ მაინც ბომბებით და უახლესი საომარი ტექნიკით უმოწყალოდ გაჟლეტილ ათასობით ადამიანის დამახინჯებულ სხეულებს, მათ შორის ბავშვებისა და ქალების ნაწამებ გვამებს, ნანგრევებად ქცეულ, ერთ დროს მშვენიერი არქიტექტურით თავმომწონე შენობებს... ირგვლივ კვნესა, ტირილი, შიმშილი, სიღატაკე და უბედურებაა... და ნეტა რას ფიქრობენ ვითომ მშვიდობის დამყარების სურვილით თავგამოდებული, ამბიციური სახელმწიფოები? დიახ, ისინი არიან სწორედ, რომ უზარმაზარ კაპიტალს ხარჯავენ საომარ ტექნიკაზე, შეიარაღებაზე, მეომართა აღჭურვაზე. ომითა და ქარცეცხლით უნდათ, დაამყარონ მშვიდობა და თავზარს სცემენ ჯერ კიდევ მშვიდობიანად დარჩენილ მსოფლიო მოსახლეობას. რა ჰქვია ყოველივე ამას, „მსოფლიო ომი" თუ სხვა რამ? მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სახელწოდებას.

ახლა ჩვენთან, ჩვენს პატარა ქვეყანაში შემოვიხედოთ. რა ხდება, მშვიდობაა? ომი არ არისო, იტყვიან, მაგრამ არის კი მშვიდობა? რა თქმა უნდა, არა!, ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მშვიდობის ძახილში, სისხლიანი დემონსტრაციებით, ძალით თუ ნებით კი მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, გავაფორმეთ ქაღალდზე, ჩავიწერეთ კონსტიტუციაში, მაგრამ როგორ მივუსადაგეთ ამ სანუკვარი სიტყვების — „თავისუფლება", „დამოუკიდებლობა" — შინაარსი ჩვენს რეალურ ცხოვრებას? 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ვითომ ჩვენივე საკუთარი თავის, საკუთარი ქვეყნის პატრონები გავხდით, რა დაგვემართა, რა გავაკეთეთ? გამოვიჩინეთ კი ქვეყნის პატრონობის უნარი?

სამწუხაროდ და საუბედუროდ, სახელმწიფოებრივი აზროვნება არ აღმოაჩნდათ მავანს და მავანს, იმას, ვისაც უნდა მიეცა მიმართულება ხალხისთვის და ქვეყანა სწორ გზაზე დაეყენებინა. უბედურებას ვერ გადავურჩით, — გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ერთმანეთს დავერიეთ, ერთმანეთი ჩავხოცეთ, მოყვარე ვატირეთ, მტრის გული გავახარეთ. ჩვენვე შევურჩიეთ დრო მზაკვრული ოცნების განსახორციელებლად და შედეგად, ერთხელ კიდევ ჩამოაჭრეს საქართველოს მისი ფიზიკური სხეულის სისხლხორცეული ნაწილი. და ყველაფერი ეს მოხდა არა მხოლოდ გარეშე მტერთა ძალებით, მათი დაუნდობლობით, არა, — უფრო შინაურთა უგუნურებით და უვიცობით! უგუნური და უვიცი შინაური კი გარეშე მტერზე უფრო ძლიერი მტერია. უგუნური და უვიცი რომ მოგვმრავლებია ამას დღევანდელობა ძალიან „კარგად" ადასტურებს, კარგა ხანია, გარეშე მტრებით გარშემორტყმული ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო განსაცდელშია. **ასე არ არის?** სხვა უარესი განსაცდელი რა უნდა იყოს, როდესაც ქვეყნის შუაგულში მტრის სამხედრო ძალები დაბორიალობენ და განა მხოლოდ დაბორიალობენ, თავს გვესხმიან, საკუთარ მიწაზე ფეხის დადგმას არ გვანებებენ, სალოცავში არ გვიშვებენ, საფლავზე საკუთარ მიცვალებულს არ გვატირებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში — გვატყვევებენ, გათავისუფლებისათვის საურავს გვახდევინებენ, თუ არადა, სიცოცხლეს გვასალმებენ!

აი, ასეთ დღეში ვართ ქართველები და კიდევ ვინ მოთვლის იმ უბედურებას, რაც, ერთი მხრივ, გარემოებამ თავს მოგვახვია, მეორე მხრივ კი, თავად „მოვახერხეთ" და თავს მოვიხვიეთ. ძნელია, განაცალკევო, რომელი რომელია. ერთმანეთის სიცოცხლის ხელყოფა, სასამართლოებში გაგრძელებული დაუსრულებელი საქმეები, ჩხუბი და დავიდარაბა. მაღაროებში „შემთხვევით" ამოხოცილი მუშები, საზღვარგარეთ საყაჩაღოდ გაქცეულები, ნარკომანობა და ათასობით „გამოლაყებული" ახალგაზრდა... ეგრეთ წოდებული, ღამის ბარების მუდმივი კლიენტები (ნორმალური ცხოვრების ფარგლებს გადაცილებული, თექვსმეტი წლის გოგო-ბიჭები) და კიდევ უარესი, მოყვრულად შემოსულ-შემოსახლებული მტერი, რომელიც კარგა ხანია„თავის საქმეს" უმტკივნეულოდ აკეთებსო, — ამბობენ ზოგიერთები, არცთუ უნიჭო და მიუხვედრელი ადამიანები. ჩვენც ბევრ რამეს ვხედავთ, საჭიროა, ყველა ხედავდეს, ყველა გრძნობდეს, რომ ზოგი მორალურად და ზოგი ფიზიკურად, ზოგი შინ და ზოგი გარეთ ეკარგება საქართველოს ისედაც მცირე მოსახლეობას ხალხი, თანამოქალაქეები, ახალგაზრდების დიდი ნაწილი.



დიახ, არ არის მშვიდობა და, როცა არ არის მშვიდობა, ომია, მა, რა ჯანდაბაა!

**გულნარა სტურუა**

## ქუთაისის აეროპორტის შესაძლებლობები გასამმაგდება

**„ახალი ტერმინალის დასრულების შემდეგ გასამმაგდება ის შესაძლებლობა, რაც ქუთაისის აეროპორტს გააჩნია. დღეს აეროპორტი 300-მდე მგზავრს ემსახურება საათში და შესაძლებელი გახდება 1000-1100 მგზავრის მომსახურება. დღეს აეროპორტში 450 ადამიანი მუშაობს და მას შემდეგ, რაც ტერმინალი დასრულდება, მეტი სამუშაო ადგილები შეიქმნება და შესაბამისად, ახალი შესაძლებლობები გაჩნდება რეგიონში,"** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა,** რომელიც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო. პირველ ვიცე-პრემიერს სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალურმა დირექტორმა **ქეთევან ალექსიძემ** მიაწოდა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ამ დროისთვის შესრულებულია რკინა-ბეტონის



სამუშაოების 90 პროცენტი, რომელიც სრულად მაისის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც დაიწყება რკინის კონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოები და ამით პირველი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდება.

**აეროპორტს 6 გასავლელი ექნება. ახალი ტერმინალის მთლიანი ფართი 24 176 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ქუთაისის აეროპორტში ამ ეტაპზე 440 ადამიანია დასაქმებული, აეროპორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ მათი რიცხვი გაიზრდება. განახლებული ტერმინალი, 2019 წლის დასაწყისში, აეროპორტის სრული რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ გაიხსნება და ერთდროულად სამჯერ მეტ მგზავრს მიიღებს.**

## ბიზნესომბუდსმენი გორში ადგილობრივ ბიზნესმენებს შეხვდა

**საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი გორში 50-მდე ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელს შეხვდნენ.**

შეხვედრაზე ბიზნესომბუდსმენმა რეგიონული ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს საკუთარი საქმიანობის შესახებ მოუთხრო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებმა პრობლემური საკითხების შესახებ დასვეს კითხვები.

**„ბიზნესომბუდსმენის ოფისმა დაიწყო რეგიონებში ადგილობრივ ბიზნესთან შეხვედრები. პირველი ასეთი შეხვედრა დღეს გორში გაიმართა. ჩვენ მივაწოდოთ კერძო სექტორის წარმომადგენლებს ინფორმაცია აპარატის საქმიანობის შესახებ და ვისაუბრეთ იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომლებიც დღეს გორში ბიზნესს აწუხებს. ამის შემდეგ ჩვენ უკვე გადავდივართ სამუშაო ეტაპზე და განვიხილავთ, არსებული პრობლემების მოსაგვარებლად რა ტიპის მხარდაჭერა შეგვიძლია აღმოვუჩინოთ მათ. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპაზე, სწორედ რეგიონებში, მცირე და საშუალო ბიზნესთან, მსგავსი ტიპის თანამშრომლობა და მხარდაჭერის პაკეტების შეთავაზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია"** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

## დაცულ ტერიტორიებზე ფაროსანას მონიტორინგის სისტემები დამონტაჟდა

**კოლხეთის ეროვნულ პარკში აზიური ფაროსანას მონიტორინგის სისტემები დამონტაჟდა, რომლის მეშვეობითაც მავნებლის რაოდენობა და გავრცელების არეალი დგინდება. ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.**

დასავლეთ საქართველოში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე ამ დროისთვის, ჯამში 5 000 ფერომონია დამონტაჟებული. საქართველოს მასშტაბით, ტყისპირა პერიმეტრებზე „მოიზიდე და გაანადგურე" ტექნოლოგიის სადგურები განლაგდება.

**ღონისძიებების კოორდინირებულად და ეფექტიანად ჩატარებისთვის, დასავლეთ საქართველოში, აბაშის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მავნებელთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბი, სადაც შექმნილია მონაცემების ელექტრონული ბაზა. მონიტორინგის შედეგები აისახება ინტერაქტიულ რუკაზე. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების მიხედვით, შესაბამისი ღონისძიებები იგეგმება. სახელმწიფოს მიერ მობილიზებულია 150 ერთეული მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ტექნიკა.**


იეიტსი


რაბია


ვერლენი

# რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

## როსტომ ჩხეიძე, როგორც ლირიკის მთარგმნელი


შელი


უიტმენი


ჯოისი

**ქუთაისში, ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში, როსტომ ჩხეიძის სტუმრობა ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. ტრადიციადქცეულ შეხვედრებს არც ამჯერად უღალატა ბატონმა როსტომმა და შეკრებილ საზოგადოებას თავისი პოეტური თარგმანები წარუდგინა.**

საღამო გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლია კუხიანიძემ, რომლის უშუალო ძალისხმევითა და თანადგომით პედაგოგებსა და მოსწავლეებს საშუალება გვეძლევა, შევხვდეთ ჩვენთვის ძვირფას სტუმარს.

ქალბატონმა ლიამ ისაუბრა როსტომ ჩხეიძის მწერლური ნიჭის მრავალფეროვნებაზე, ასეთი შეხვედრების დანიშნულებასა და საგანმანათლებლო როლზე.

ბატონმა როსტომმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პოეტური თარგმანები მის მიერ სტუდენტობის დროს თარგმნილი ცალკეული ნიმუშებია, რომლებიც იმჟამად არ დაუბეჭდავს და მხოლოდ მოგვიანებით გადაწყვიტა, შეეკრიბა მიმოფანტული ლექსები და ერთ პატარა წიგნად გამოეცა.

ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, არაბული პოეზიიდან თარგმნილ ნაწარმოებებს თან ერთვის ავტორთა ბიოგრაფიული ცნობები. მთარგმნელის გულისწყვეტას იწვევს მხოლოდ ერთი გარემოება, მან კრებულში არ შეიტანა და შემდეგ ინანა კიდეც, მოწაფეობის დროს თარგმნილი ტომას მურისა და პერსი ბიში შელის ლექსები.

მღელვარე და ემოციური იყო ბატონი როსტომის საუბრის ის ნაწილი, რომელიც ბაირონის მეგობარს, ნაადრევად დაღუპულ პერსი ბიში შელის ეხებოდა, როცა გარდაცვლილის ლონდონში გადასვენება ვერ მოხერხდა, გადაწყვიტეს დაეწვათ და ფერფლი წაეღოთ, მოხდა სასწაული — პოეტის გული არ დაიწვა, გული — გადარჩა. ამ სიტყვებმა განსაკუთრებით იმოქმედა მსმენელზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ ერთ-ერთი ქართული საგალობლის ბედი, რომელიც ტომას მურის სახელს უკავშირდება.

როცა ქართველ ჰიმნოგრაფებს შეეძლოთ ქართული საგალობლების ბერძნულად თარგმნა, სწორედ მაშინ ითარგმნა „ცისკრის ზარები" ბერძნულად, შემდეგ ბერძნულიდან — ლათინურად, ლათინურიდან — ტომას მურმა თარგმნა ინგლისურად, ხოლო ინგლისურიდან — ქართულად გივი გაჩეჩილაძემ, ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქართველთათვის ეს ტექსტი ნაცნობი ყოფილა ადრეულ შუა საუკუნეებში.

ბატონი როსტომი, როგორც მთარგმნელი, მარტოოდენ თარგმნილი ლექსების წაკითხვით როდი შემოიფარგლა, მან გზადაგზა ისაუბრა ავტორებზე, ყურადღება გაამახვილა მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე. ამ მხრივ შეუძლებელია, დაივიწყო უოლტ უიტმენის პოეტური ბედისწერა, მისი თამამი განაცხადი: **„მე ვარ უოლტ უიტმენი, კადნიერი ამერიკელი, და ჩემშია მთელი სამყარო"**. მაშინ, როცა არავის მოსწონდა მისი ლექსები, უფრო მეტიც, აძაგებდნენ და ისიც კი უთხრეს, პოეზიის ისე გაგეგება, როგორც ღორს მათემატიკისო, უიტმენმა ფარ-ხმალი არ დაყარა, უმალ იპოვა გამოსავალი, დაწერა ორი რეცენზია, დადებითი და უარყოფითი, ზოგჯერ ანტირეკლამამაც ხომ რეკლამაა, მოკლედ, ან ერთს უნდა მოეხდინა ხალხზე ზეგავლენა, ან — მეორეს. თუმცა უიტმენის პოპულარობა მაინც ერთმა კაცმა განაპირობა, კაცმა, რომელსაც ამერიკელები აღიარებდნენ თავიანთი გემოვნების კანონმდებლად. ეს გახლდათ რალფ უოლდო ემერსონი, რომელმაც თქვა: უიტმენის ლექსებში ჩანს ამერიკის სულიო. ამ სიტყვებმა იმოქმედა ხალხზე და დაიწყო უოლტ უიტმენის აღმასვლაც.

საუბრისას ბატონი როსტომის მცირეოდენი შეყოვნება კიდევ უფრო ამძაფრებდა სათქმელის მოლოდინს და ხელს უწყობდა ყურადღების მოკრებას.

დიდხანს ემახსოვრებათ მოსწავლეებსა და თავყრილობის სხვა მონაწილეებს ბატონი როსტომის ნაამბობი ჯეიმზ ჯოისსა და ჩარლზ პარნელზე. ეს იყო სიტყვისა და გრძნობის საოცარი ურთიერთკავშირი, გადაძახილი ქართულ სულთან, ეროვნულ ცნობიერებასთან.

ჯოისი, როგორც პოლიგლოტი, ოცდაორი ენის მცოდნე, ადამიანი, რომელმაც ორ კვირაში ისწავლა შვედური ენა, რათა ჰენრიკ იბსენისათვის მიეწერა წერილი, არ ისწავლა მხოლოდ მშობლიური ენა — გელური. უცნაური გახლდათ ჯოისის სიტყვები, სხვანაირად რომ წასულიყო ჩემი ცხოვრება, ანუ როგორც მე მინდოდა, საოპერო მომღერალი უნდა ვყოფილიყავიო. როცა მან ირლანდია დატოვა თქვა, იქ სადაც პარნელი არ დაინდეს, მე რა ბედი შეიძლება მელოდესო...

დიახ, ირლანდიას ჰყავდა ასეთი პიროვნება, ჩარლზ პარნელი. ეროვნული გმირი, ირლანდიის თვითმყოფადობისთვის მებრძოლი, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა უმადურობა თანამემამულეთაგან, სამშობლოსათვის თავგანწირვის სანაცვლოდ. ეგ კი უთქვამს, არ ჩამაგდოთ ინგლისელი მგლების ხელშიო, და სამწუხაროდ, თავისიანმა მგლებმა დაგლიჯეს.

განსხვავებათა მიუხედავად, იტყვის ბატონი როსტომი, უცნაური კავშირებია საქართველოსა და ირლანდიას შორის, ტომას მურსა და გიორგი მთაწმინდელს შორის, ჩარლზ პარნელსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, თავგანწირვით, ბედისადმი დაუმორჩილებლობით, სულიერი გაუტეხლობით.

როცა პოლ ვერლენზე სასაუბროდ მიდგა საქმე, ბატონმა როსტომმა ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამიდან" ერთი ეპიზოდი გაიხსენა. ფინალში მთავარ გმირს ბუღალტერი ეუბნება, რომ ლექსებს წერს და დაიწყებს კითხვას: ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის... ეგ ხომ გალაკტიონიაო, ეტყვიან, ის კი აღფრთოვანებული პასუხობს, მერე რა სჯობს მაგასო. ჰოდა, თარგმნა ბატონმა როსტომმა ვერლენის „ჩამავალი მზე", წაუკითხა მამას და: ძალიან გალაკტიონიაო, — უთქვამს ბატონ ოთარ ჩხეიძეს, როსტომს კი აღტაცებით მიუგია: მერე ეს ცუდიაო?

ბოლოს არაბული პოეზიის ჟამიც დადგა, ომარ იბნ აბუ რაბიას ღაზალებისა. სამართლიანად შენიშნა ქალბატონმა ლია კუხიანიძემ, რამდენი ენაც იცი, ბოქლომის იმდენი გასაღები გიპყრია ხელთო, აღმოსავლური და დასავლური სამყაროს გასაღები რომ საიმედო ხელთაა, ეს ყველასთვის ნათელი იყო.

მწერალმა და კრიტიკოსმა ელგუჯა თავბერიძემ მისთვის დამახასიათებელი სიღრმითა და ინტერესით ისაუბრა ბატონი როსტომის თარგმანებზე და თქვა:

**„როცა მკითხველი ბატონი როსტომის შემოქმედებას ეცნობა, თარგმანი იქნება ეს, ლექსი, ბიოგრაფიული რომანი თუ ესეი, ყოველთვის ხედავს ავტორის დამოკიდებულებას საკუთარი ქვეყნისადმი, სამშობლოსადმი"**.

რატომ აირჩია უილიამ ბატლერ იეიტსი სათარგმნელად და თავისი ესეის გმირად როსტომმა? მას სურს, დიდი ირლანდიელი პოეტის სამყარო დაანახოს ქართველებს, მისი ბრძოლა თავისუფლებისთვის გადამდები იყოს ჩვენთვისაც, რადგან ჩვენ გვგონია, ვართ თავისუფლები, არადა, სრული თავისუფლება ქართველების შეგნებაში არ დამდგარა. მე კი მინდა, რომ თქვენი თაობის შეგნება ამით იყოს გაჯერებული"...

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ბელა დურგლიშვილმა ბატონი როსტომი ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონის" ერთ-ერთ პერსონაჟს იოველ ბატონიშვილს შეადარა, ადამიანს, რომელმაც თეთრი ტაძარი ააგო და სურს ყოველ გუმბათზე, სოფელში, ქალაქში კელაპტარმა ანათოს, ბატონი როსტომიც ამ კელაპტრის ამნთებია ჩვენთვის, დიდი სულიერი საზრდოს მომწოდებელი.

დასასრულ ბატონმა როსტომმა უპასუხა შეკითხვებს და მადლობა გადაუხადა მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

მაგიდაზე აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საკმაოდ მოზრდილი წიგნი დევს: „ხან მიწისა და ხან ცისა", ვუცქერი და ვფიქრობ: როდის და როგორ ახერხებს ეს ფუტკარივით მშრომელი და დაუზარელი ადამიანი, პირადი თუ საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთული, ასეთი დიდტანიანი წიგნების შექმნას? რეალობა ნაცნობია და ჩვეული, ფაქტი ურყევი და ჭეშმარიტი, მოლოდინი სასურველი და სასიამოვნო...

**ნესტან მჟავანაძე,**
**ქუთაისი-თბილისი**

# ვოკალისტთა I საერთაშორისო კონკურსის I ტური დასრულდა




**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ვოკალისტთა I საერთაშორისო კონკურსის „OPERA CROWN" I ტური დღეს დასრულდა. 1 და 2 მაისს I ტურში 45 კონკურსანტი წარდგა, რომელთაგან ჟიურის გადაწყვეტილებით, II ტურში 21 გადავიდა. მათ შორის არიან: მალეჟა ანა (პოლონეთი, სოპრანო), ჭელიძე გიორგი (საქართველო, ბანი), იენდე ნომბულელო (სამხრეთ აფრიკა, სოპრანო), კურენაია პელაგია (რუსეთი, სოპრანო), რანგვანაშა მასაბანი სესილია (სამხრეთ აფრიკა, სოპრანო), ძეჩუნ კიმი (სამხრეთ კორეა, ბარიტონი), მჭედლიშვილი სოფია (საქართველო, სოპრანო), ბონგ მინ გილი (სამხრეთ კორეა, ბანი), გიგინეიშვილი გივი (საქართველო, ბანი), მოიაკე სიფამანდლა (სამხრეთ აფრიკა, სოპრანო), ანდრესიანი ჰოვანეს (სომხეთი, ტენორი), მარგარიტა ლევჩუკი (ბელორუსი, სოპრანო), წამალაშვილი გიორგი (საქართველო, ბარიტონი), კუ ბონსუ (სამხრეთ კორეა, ბანიჰბარიტონი), ლი ლეონარდო (სამხრეთ კორეა, ბარიტონი), მალიელოა პალეზა (სამხრეთ აფრიკა, სოპრანო), კობერიძე სოფია (საქართველო, მეცო-სოპრანო), ზაქაიძე ნინო (საქართველო, მეცო-სოპრანო), დრუჰაკი ალინა (უკრაინა, სოპრანო), ისტრატი ლილიანა (მოლდოვა, მეცო-სოპრანო), ზიდარიჩი ანდრეა (სლოვენია, სოპრანო).**

კონკურსანტები საერთაშორისო ჟიურის წინაშე II ტურში დღეს წარდგებიან. 3 მაისს კონკურსი 14:00 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება თავისუფალია. დასკვნითი III ტური — ლაურეატების დაჯილდოება და კონკურსის საზეიმო დახურვა გაიმართება 5 მაისს, 18:00 საათზე.

თბილისის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი 30 აპრილს გაიხსნა. მასში მსოფლიოს 20 სხვადასხვა ქვეყნის (საქართველო, იტალია, საფრანგეთი, აშშ, სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა, საბერძნეთი, ლატვია, ბელარუსი, პოლონეთი, უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი, მონღოლეთი, უზბეკეთი, სომხეთი, ტაილანდი, სლოვენია) 50 ახალგაზრდა მომღერალი მონაწილეობდა. მათ წარმატებით გაიარეს კონკურსის შესარჩევი ეტაპი, რომელშიც 300-მდე განაცხადი შემოვიდა.

კონკურსის საპრიზო ფონდია:

**I პრემია — 15 000 აშშ დოლარი**

**II პრემია — 10 000 აშშ დოლარი**

**III პრემია — 7 000 აშშ დოლარი**

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრიზი — სპექტაკლში მონაწილეობა და ჰონორარი 2 000 აშშ დოლარი

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის პრიზი საუკეთესო ტენორს — 1 000 აშშ დოლარი

# თავშესაფრის მიღების უსაფუძვლო თხოვნები საქართველოს მოქალაქეებისაგან

**ცნობილი გერმანული გამოცემა „შპიგელი" მკითხველებს საქართველოს მოქალაქეების მიერ უვიზო რეჟიმის პირობების დარღვევის ფაქტებს აცნობს, კერძოდ, სტატიაში საუბარია თავშესაფრის მიღების თხოვნების უჩვეულო ზრდა გერმანიაში უვიზო რეჟიმის მეშვეობით ჩასული ქართველებისაგან. იგივე ტენდენცია შეინიშნება ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც.**

როგორც „შპიგელი" აღნიშნავს, ეს მოვლენა, რასაკვირველია, არასასიამოვნოა, რადგან სწორედ ამას უფრთხოდა ევროკავშირი, როცა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმს აწესებდა. ცხადია, თუ ტენდენცია გაგრძელდება, ბრიუსელი, ალბათ, ვიზალიბერალიზების შეჩერების ან საერთოდ, მისი გაუქმების მექანიზმს აამოქმედებს.

რა თქმა უნდა, გერმანიის ხელისუფლება ცდილობს, რომ ყოველმხრივ შეისწავლოს თავშესაფრის მთხოვნელი საქართველოს მოქალაქეების მიერ წარდგენილი არგუმენტები და ობიექტურად გადაწყვიტოს საკითხი. შედეგები ასეთია: **2017 წელს თავშესაფრის მიღების 6340 მსურველიდან მხოლოდ 130 დაკმაყოფილდა**. პრინციპში, ეს რაოდენობა 2%-იან კვოტას შეესაბამება. „ევროკომისია ამ პრობლემის შესახებ უკვე საქმის კურსშია ჩაყენებული, მაგრამ მას სურს, რომ უვიზო რეჟიმის დარღვევები საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით გადაწყვიტოს. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს დროში კონკრეტულ შედეგებს ვიხილავთ", — წერს „შპიგელი" და გერმანიის კომპეტენტური სტრუქტურების განცხადებას იმოწმებს.

თავის მხრივ, ევროკავშირი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული კამპანია, რომელიც გერმანიაში (და, რასაკვირველია, ევროპის სხვა ქვეყნებშიც) თავშესაფრის მიღების უპერსპექტივობის განმარტებას ითვალისწინებს (გარკვეულ დადებით შედეგს გამოიღებს). ამასთან, გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით უკვე უახლოეს ხანში განხორციელდება საქართველოს კლასიფიცირება „უსაფრთხო ქვეყნად". ამგვარი ძალისხმევა მნიშვნელოვნად გააიოლებს უვიზო რეჟიმის პირობების დამრღვევ იმიგრანტთა დეპორტაციას.

ექსპერტების აზრით, ბევრი ქართველი, თავშესაფრის მიღების მცირე პერსპექტივის მიუხედავად, მაინც ჩადის ევროპაში, უმთავრესად იმ მიზეზით, რომ საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე და უკიდურესი სიღარიბეა გამეფებული. **საქართველოს მშპ (ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი) ერთ სულ მოსახლეზე თვეში, ბოლო მონაცემებით, მხოლოდ 280 ევროს შეადგენს. შედარებისთვის: გერმანიაში კი, 2017 წლის მიხედვით, 3300 ევრო იყო.**

**„SPIEGEL" (გერმანია)**

## „დაირტყამს" დონალდ ტრამპი ნობელს?!



**The Guardian-ის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნობელის პრემიაზე წარადგინეს. გამოცემა წერს, რომ იდეის ინიციატორი რესპუბლიკელი კონგრესმენი ლუკ მესერია, რომელსაც 17 კონგრესმენი შეუერთდა. აშშ-ის პრეზიდენტი ნობელის პრემიაზე ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობების ნორმალიზებაში შეტანილი წვლილისთვის მშვიდობის დარგში არის წარდგენილი.**

**„ჩვენ ვხედავთ ჩრდილოეთ კორეაში უფრო მეტ პროგრესს, ვიდრე ობამას პრეზიდენტობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს არის მსოფლიოში ტრამპის ლიდერობის პირდაპირი შედეგი", — განაცხადა კონგრესმენმა ლუკ მესერმა.**

**დონალდ ტრამპი ნობელის პრემიაზე 2019 წელს იქნება წარდგენილი, რადგან მიმდინარე წელს განაცხადების შეტანის ვადა ამოწურულია.**



## ძლიერ ქვიშის ქარს მსხვერპლი მოჰყვა

**70-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა მძლავრი ქვიშის ქარის დროს, რომელმაც ნდოეთის რამდენიმე შტატი დაფარა.**

**ქარიშხალმა მოგლიჯა ხეები და წააქცია ელექტრობოძები, რის გამოც ბევრ რაიონში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. სტიქიისას უმეტესად ინდოეთის აღმოსავლეთი ნაწილი დაზარალდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე გამოხატეს მწუხარება მომხდართან დაკავშირებთ და გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრეს.**

**ქვიშის ქარი ასევე დაფიქსირდა დედაქალაქ დელის მახლობლადაც, თუმცა საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ უამინდობის გამო დელის მიმართულებით 15 რეისი გადაიდო.**

## ავსტრიაში 63 წლის კანიბალი დააკავეს



**ავსტრიაში დააკავეს 63 წლის მამაკაცი, რომელიც ქალის მკვლელობაში, მისი გვამის დანაწევრებასა და სავარაუდოდ, შემდგომში საკვებად გამოყენებაშია ბრალდებული. ქალის სხეულის ნაწილები მაცივრის საყინულეში აღმოაჩინეს. გვამის თავი და სხვა ნაწილები იმ ტერიტორიის მახლობლად, სადაც კანიბალს მისი კუთვნილი ნავი ჰყავდა დაყენებული. მამაკაცმა დაკითხვის დროს დანაშაული აღიარა.**



# „უკვდავი ნაგავი"

## პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის შედეგად წელიწადში 1 მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება

**საქართველოში პლასტიკის პარკების გამოყენების შემცირება იგეგმება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ დედამიწის დღესთან (22 აპრილი) დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი ინიციატივა პლასტიკის პარკების შემცირების შესახებ მთავრობაში დასამტკიცებლად მალე შევა, რაც გარემოს დაბინძურების პრევენციის კუთხით მნიშვნელოვანი იქნება.**

For.ge ადრეც წერდა, რომ პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის შედეგად ერთ წელიწადში დაახლოებით 1 მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება. პლასტიკის წვა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, რადგან წვის პროცესში გამოყოფილი მავნე ტოქსინები აბინძურებს ატმოსფეროს. ეს პროცესი ხელს უწყობს სათბურის ეფექტის შექმნას, რაც კლიმატის გლობალურ ცვლილებაზეც აისახება. ფაქტობრივად, პლასტიკი გვევლინება „უკვდავი ნაგვის" სახით, რაც დიდ ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემას.

თავისი ქიმიური შემადგენლობის გამო პლასტიკის პარკი ბუნებაში ასწლეულების განმავლობაში რჩება. ის არ არის ბიოდეგრადირებადი და რთულად იშლება. ხოლო დაშლის დროს (თუკი ასეთი ხდება) ტოქსიკური ნივთიერებებით აბინძურებს ნიადაგს, მიწისქვეშა წყლებს, აღწევს საკვებ ჯაჭვში და რეალურ საფრთხეს უქმნის ცოცხალ ბუნებას. ქარის მიერ ტოქსინები ადვილად გადაიტანება მდინარეში, ზღვაში, ტბაში, ტყეში.

რაც შეეხება საქართველოს, **ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული თუ წარმოებული ბიოდეგრადირებადი პარკები არ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტს და მისი სრულად დეგრადირება არ ხდება. ამიტომაც საქართველოში აიკრძალება ოქსო-დეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოება, რეალიზაცია და იმპორტი.**

პოლიეთილენის პარკების მავნებლობაზე საუბრისას ექიმი-ენდოკრინოლოგი **შოთა ჯანჯღავა** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ დროა, გადავიდეთ მუყაოს პარკებზე, როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაშია. მიუხედავად იმისა, რომ ხის გახშირებული ჭრა არ არის გამართლებული, პოლიეთილენი იმდენად მავნებელია, რომ სჯობს, ამ კომპრომისზე წავიდეთ და მუყაოს პარკები გამოვიყენოთ. პოლიეთილენით არა მარტო ბინძურდება გარემო, არამედ უვარგისი ხდება ამ პარკებში შენახული პროდუქციაც. ამას გარდა, არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც **ევროპა უარს ამბობს პოლიეთილენზე. საქმე ისაა, რომ ევროპულ ქვეყნებში ფასიანი გახდა პოლიეთილენის პარკები. ამან გამოიწვია, რომ ჩვენი ბებიებისა და ბაბუების მსგავსად, ევროპელებიც სახლიდან ატარებენ ტომსიკების მაგვარ პარკებს. ევროპაში ოჯახის დიასახლისს დააქვს ნაჭრის ან ქაღალდის პარკი, რომელიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და სწორედ ამ პარკით მიაქვს შინ მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტი.**

„ბუნებასაც რომ არ მივაყენოთ დიდი ზარალი, აჯობებს, ნაჭრის პარკებიც გამოვიყენოთ. ამით მუყაოს პარკებზე მოთხოვნილება შემცირდება. გარდა ამისა, შენახვის წესები უნდა დავიცვათ და პროდუქტი ჰერმეტულად დაცულ გარემოში შევინახოთ, რათა არ გაფუჭდეს, ან შემდგომში ტოქსიკური ზემოქმედება არ მოახდინოს ორგანიზმზე. მაგალითად, **ბოლო დროს გამყიდველები მინის ქილების უქონლობის გამო კლიენტს მაწონს მინის ქილიდან პირდაპირ პოლიეთილენის პარკებში უსხამენ. არადა, მაწონი უნდა შევინახოთ მინის ჭურჭელში და არა პოლიეთილენში, ასევე, რძეც ჯობია, მინის ჭურჭელში შევინახოთ. რაც შეეხება ხორცს, ის მშრალ მდგომარეობაში უნდა შევინახოთ და უმჯობესია, ჰერმეტულად დახურულ ყუთში გვქონდეს, რომ გაყინვისგან არ დაზიანდეს და შემდგომში მავნე ზემოქმედება არ გამოიწვიოს ორგანიზმზე. ხშირად ჩვენი მომხმარებლები პლასტმასის კონტეინერებზეც არ ამბობენ უარს. რეალურად შუშის კონტეინერი სჯობს, მაგრამ სატარებლად ცოტა რთულია. ხოლო, თუ პლასტმასი ისეთი შემადგენლობისაა, რომ თერმოზემოქმედებას კარგად უძლებს, ცხელ საკვებ პროდუქტს ინახავს და არ გამოყოფს მავნე ნივთიერებებს, მაშინ მისი გამოყენება დასაშვებია. თუმცა, რა თქმა უნდა, უმჯობესია მინის ან ემალირებულ ჭურჭელში იყოს შენახული საკვები პროდუქტები",** -აღნიშნა შოთა ჯანჯღავამ.

საკონსულტაციო კომპანია Key Communications-ის დამფუძნებელი **თეონა ბაღდავაძე,** რომელიც **პლასტმასის ბოთლების შუშით ჩანაცვლების ინიციატივით გამოდის, For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ პლასტმასის ბოთლებისა და პოლიეთილენის პარკებისგან მიყენებული ზიანი ერთი და იგივეა. სამწუხაროა, რომ ჩვენთან პლასტმასის ბოთლების გადამუშავება არ ხდება, თუმცა მსოფლიო იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა გზის მშენებლობაშიც იყენებენ გადამუშავებულ პლასტმასს.**

„პლასტმასისა და პოლიეთილენის ჩანაცვლება საკმაოდ რთული და გრძელვადიანი პროცესია. ჩვენი პირველადი ამოცანაა მოსახლეობის ინფორმირება პლასტმასის ბოთლების გამოყენების მავნებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, როდესაც აქ საუბარია მრავალჯერად გამოყენებაზე. სახლში მომზადებული პროდუქციის დიდი ნაწილიც კი ინახება პლასტმასის ბოთლებში. ჩვენ კომპანიებსაც მოვუწოდეთ, შეეცვალათ პლასტმასის წარმოება სხვა ტიპის ორგანული შესაფუთი მასალით. პირველი ნაბიჯები უკვე ჩანს. მაგალითად, რამდენიმე კომპანიამ პლასტმასი ჩაანაცვლა თუნუქით, რომელიც უფრო მოსახერხებელი და ნაკლებად ტოქსიკურია. რაც შეეხება მინას, როგორც კომპანიები ამბობენ, მინა შედარებით ძვირი სიამოვნებაა. აქედან გამომდინარე, მაინც უფრო ეკონომიური შეფუთვის გამოყენება ურჩევნიათ.

ფაქტია, რომ პლასტმასის ბოთლებსა და პოლიეთილენის პარკებს ებრძვის როგორც მსოფლიოს განვითარებული ნაწილი, ისე საქართველო. პირველ რიგში, ეს დამოკიდებულია ჩვენს ცნობადობასა და ინფორმირებულობაზე, ასევე, ბიზნესზე, თუ რამდენად შეძლებს ახალ მოდელზე გადასვლას", — აღნიშნა თეონა ბაღდავაძემ.

**მანანა ნოზაძე**

ქორწილი, ქორწილი!

**მონარქიას ბრიტანეთში მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ, რადგან მოსახლეობის უმეტესი ნაწილის აზრით, ის ერის გამაერთიანებელი ინსტიტუტია. ცოტა ხნის წინათ, კერძოდ 21 მარტს, დედოფალმა ელისაბედ II-მ დაბადების 92-ე წლისთავი იზეიმა, სულ მალე კი მისი შვილიშვილი ჰარი ცოლს ირთავს.**

**მეტად საგულისხმო გარემოება ის გახლავთ, რომ დედოფალი ელისაბედი ხელისუფალთა შორის ერთ-ერთი უპირველესი რეკორდსმენია: ასეთ ჭარმაგ ასაკში ტახტზე მანამდე ჯერ არავინ მჯდარა და, მით უმეტეს, ქვეყანა 66 წლის მანძილზე(!) — არავის უმართავს!**



# დედოფლის მძიმე გვირგვინი





ელისაბედ ალექსანდრა მარიამ ვინძორი, ბრიტანეთის მეფის ჯორჯ V-სა და დედოფალ მარიამის პირველი შვილიშვილი, 1926 წლის 21 მარტს დაიბადა და ტახტზე მალევე — 26 წლის ასაკში ავიდა. იმის ჩამოთვლა, თუ რამდენი რამ მოხდა მსოფლიოში მისი მმართველობის დროს, ჭეშმარიტად ურთულესი საქმეა: ამ ექვსნახევარი ათეული წლის მანძილზე გამოიგონეს ტელევიზია, ადამიანი კოსმოსში გაფრინდა და მთვარეზე დადგა ფეხი, ათობით რევოლუცია და სახელმწიფო გადატრიალება, ამბოხი და ომი მოხდა. მასთან აუდიენციაზე დიდი ბრიტანეთის 13(!) პრემიერ-მინისტრი ყოფილა — უინსტონ ჩერჩილით დაწყებული ტერეზა მეით დამთავრებული. ოფიციალურ ვიზიტად იგი 130-ზე მეტ ქვეყანაში იყო ჩასული, ამჟამად კი 6 ათასზე მეტი საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციის მეურვეა.

დედოფლის 92-ე დაბადების დღე ბრიტანელებმა საზეიმოდ აღნიშნეს, მაგრამ თავად იუბილარმა ის ოჯახურ წრეში გაატარა, თუმცა კი ჯალაბი საკმაოდ მრავალრიცხოვანია: ელისაბედ II-ს ოთხი შვილი, რვა შვილიშვილი, ხუთი შვილთაშვილი და კიდევ უამრავი სხვა ნათესავი ჰყავს. სტუმრებს მხოლოდ შოკოლადის ტორტი შესთავაზეს და შამპანური დაალევინეს. თავად კი სიამოვნებით იმღერა. ისე კი, კაცმა რომ თქვას, დედოფალს კიდევ ერთი საქმე უყვარს დიდად — საკუთარი გარდერობის გადახალისება. ყველა მიღებაზე დედოფალს ძალიან დიდი გემოვნებით აცვია და მუდამ საკუთარი სტილის ერთგულია.

— მას უარყოფითი ემოციების უკუგდების არაჩვეულებრივი უნარი გააჩნია, თან იუმორის დიდებული გრძნობა აქვს, — ასე ახასიათებს ელისაბედ II-ს დედოფლის ბიოგრაფი როს ბრაიანტი. — როცა ვინძორების კლანის უფროსს ცოტა ხნის წინათ ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხეს, მას გასცინებია: „ყოველ შემთხვევაში, მე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ!“

მაინც რაში მდგომარეობს დედოფლის დღეგრძელობის საიდუმლო, იქნებ გენებში? დედამისმა 101 წელი იცოცხლა, დეიდამისმა — უფლისწულმა ელისმა — 102 წელი! მართალია ახლა დედოფალი მხრებმოხრილი ნელა დადის, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობს უშფოთველ, ზოგჯერ კი სულაც გულდამშვიდებულ ადამიანად წარმოაჩინოს თავი, თუმცა კი საფიქრალი მრავლად აქვს.

მისი ვაჟიშვილი, უელსის **უფლისწული ჩარლზი** უკვე დაბერდა, მაგრამ ჯერაც ტახტის მემკვიდრის სტატუსითაა და თავისი ვარსკვლავური საათის მოლოდინშია. ან კი, იქნებ, უკვე აღარც არის? ვინ იცის, თუმცა სწორედ ამ აზრზეა მისი ვრცელი, უმალ ბესტსელერად ქცეული ბიოგრაფიის ავტორი **ტომ ბაუერი**. წიგნის — „მეამბოხე უფლისწულის“ გმირი განებივრებული, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი, სასტიკი და ხარბი, „სამეფო მომსახურებაში“ ფულის ამღები კაცია. მაგალითად, საზეიმო წვეულებაზე მის გვერდით დაჯდომის მსურველმა ადგილში 200 ათასი გირვანქა სტერლინგი (260 ათასი დოლარი) უნდა გადაიხადოს(!). ერთ-ერთ მოგზაურობაში კი „მუდმივმა უფლისწულმა“ თან 43 ჩემოდანი და ხელჩანთა წაიღო(!), რომლებშიც ქვეყნის რამე იდო: მშრალი მარტინი, ორთოპედიული ლეიბი, აუარება უძვირფასესი ტუალეტის ქაღალდი, საპირფარეშოს ტყავის საგანგებო დასაჯდომი... ყველაფერ ამას და კიდევ უამრავ სხვა რამეს იგი მუდამ ყველგან თან დაატარებს.

**„წარმოდგენა, თითქოს ჩარლზი სხვათა მიმართ კეთილგანწყობილი კაცია, სრულიად ქარწყლდება ფუფუნებისადმი მისი უზომო ლტოლვის, არასწორი ფინანსური მოქმედებების, გარშემო მყოფთა მიმართ არალოიალური მოპყრობის გამო“,** — ასეთია ჩარლზის ბიოგრაფიის გამაოგნებელი რეზიუმე.

— „არ დაუჯეროთ ამ სისულელეს!“ — აღშფოთდა უელსის უფლისწული, როცა ცოტა ხნის წინათ ავსტრალიელმა ჟურნალისტებმა მას იმ ავბედითი ტყავის დასაჯდომის ამბავი ჰკითხეს და ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა იგი საჯაროდ გამოვიდა წყობიდან.

— **„ნუთუ სულ არ გეცოდებათ უფლისწული, როცა მის შესახებ ასეთ რამეებს წერთ?“** — ჰკითხეს ტომ ბაუერს სენსაციური წიგნის პრეზენტაციაზე.

— **„შეცოდება რა შუაშია?** — ხელი აუქნევია მისტერ ბაუერს. — **მე 125 კაცს ველაპარაკე, რომელიც მას კარგად იცნობს. მართალია, მძიმე ბავშვობა ჰქონდა: სკოლაში მას არ სწყალობდნენ, მამა ცუდად ეპყრობოდა, დედოფალი შვილთან ახლოს არ ყოფილა. მერე ამას კიდევ დაიანაზე ქორწინება დაემატა... მას შემდეგ დეპრესია, რომელსაც იგი 14 წლის ასაკიდან მკურნალობდა, უფრო მეტად გაუძლიერდა. მაგრამ ისიცაა, რომ მას სხვისი გაკრიტიკება უყვარს, თავად კი საკუთარი პერსონის მიმართ ოდნავ შენიშვნასაც ვერ იტანს“.**

ჟურნალისტები, და არა მარტო ისინი, საჯაროდ სვამენ კითხვას: ჩარლზის ასეთი შეუბრალებელი ბიოგრაფიის დაწერა იმით ხომ არაა განპირობებული, რომ ტახტის გზა პირდაპირ მის ვაჟიშვილს — **უილიამს** გაეხსნას? იგი ტახტის №2 პრეტენდენტია, თანაც იგი მამაზე, რომელსაც ნოემბერში 70 წელი უსრულდება, გაცილებით პოპულარულია. თუმცა ბატონი ბაუერი ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს.

დედოფლის კიდევ ერთი პრობლემაა მისი უდიდებულესობის უმცროსი შვილიშვილის, უფლისწულ **ჰარის** ამერიკელ **მეგან მარკლთან** ქორწინება. ქორწილი 19 მაისსაა დანიშნული, მაგრამ ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველია, ჯერჯერობით სტუმართა სიაც კი არაა დამტკიცებული. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** მიწვევის გარეშე დარჩება, თუმცა კი მას ჰარისთან კარგი პირადული ურთიერთობა აქვს, მაგრამ, თუკი ყოფილ პრეზიდენტს დაუძახებენ, ამჟამინდელს კი არ მიიწვევენ, დიპლომატიური სკანდალი გარდაუვალი იქნება, არადა, ქორწილში **დონალდ ტრამპის** სტუმრობა აშკარად არ სურთ.

არანაკლები მითქმა-მოთქმაა პატარძლის კაბის გამო: დიზაინი ქორწილის დღემდე საიდუმლოდ რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებაში მეგანს სტილის კანონმდებლის სახელი აქვს, მისთვის საქორწინო კაბის შეკერვა მოდის ყველაზე ცნობილი სახლების ოცნებაა. არც იმას ახმაურებენ, თუ როგორი იქნება საქორწინო ბეჭედი, დაიდგამს თუ არა თავზე ტიარას, როგორც ეს სამეფო ქორწილებშია მიღებული.

თუმცა, დედოფლისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ — რას მოიტანს ჰარისა და ამერიკელი მსახიობის შეუღლება? მისი უფროსი ძმის უილიამისა და ქეით მიდლტონის შვიდწლიან ქორწინებას ახალი სისხლის შემოდინება მოჰყვა ვინძორების დინასტიაში. ალბიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღემდე მიიჩნევს მონარქიას ერის გამაერთიანებელ ინსტიტუტად, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა მასობრივი მიგრაციის მიზეზით, ევროპაში კულტურული და ისტორიული რღვევის პროცესები მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით, ლონდონის გაზეთი „სანდი თაიმსი“ წერს, რომ **„დიდად ანგარიშიან მეგანს შეუძლია ელისაბედ II-ის სცენარის არც თუ სასიკეთოდ შეცვლა“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ დედოფლის ერთ-ერთმა ბიოგრაფმა დაიჩივლა: ვინძორების დინასტიის მთავარს დიდი განცდები აქვს მომავალი ქორწინების გამო, რაც მის ასაკში სრულიად არ არის საჭირო...

**მოამზადა**

**ოთარ ტურაბელიძე**

# ნუტრიგენტების ძალა

**ინგლისელებს** ანდაზა აქვთ: „ერთი ვაშლი დღეში და... ექიმი საჭირო აღარ არის“. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე მთლად ასე არ არის, რაც, ცხადია, ერთობ სამწუხაროა, მაგრამ დღეში ერთ ვაშლს თუ მიირთმევთ, სიცოცხლე ნამდვილად გაგიხანგრძლივდებათ, ჭარბი წონის აკრეფის საფრთხეც შემცირდება და დიდი ალბათობაა იმისა, რომ შაქრიან დიაბეტსაც ასცდებით.



ხშირად კამათობენ ხოლმე — ვაშლის გაფცქვნაა საჭირო თუ მისი კანიანად ჭამა. კამათი იქით იყოს, მაგრამ ჭეშმარიტება ისაა, რომ **ვაშლის კანის გადაგდება არაფრით არ შეიძლება!** გამოკვლევებით დადგინდა, რომ ვაშლის კანში გაცილებით მეტი სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერება — **ნუტრიგენტია**, რომელიც ჩვენს ორგანიზმს მცირე დოზებით აუცილებლად სჭირდება, ვიდრე რბილშია. მათ გარეშე ორგანიზმი დაუზეთავი მანქანასავითაა, რომლითაც შორს ვერ წახვალ. ისინი იცავენ უჯრედებს — ნაადრევი დაბერებისგან, კიბოს გამომწვევი მუტაციებისაგან, სისხლძარღვებს — ათეროსკლეროზისაგან, ქოლესტერინსა და ლიპიდებს კი — დაჟანგვისგან.

ვაშლის ნუტრიგენტთა უმრავლესობა ანტიოქსიდანტია, რომელთა შორის უმთავრესია **კვერცეტინები**, რომლებსაც მხოლოდ ვაშლის კანი შეიცავს.

◎ ჭიდაობა

# ექვსი მედალი და გუნდური მეოთხე ადგილი

**კასპიისკში (დაღესტანი) დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა თითო ოქრო-ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ამ მონაგრით მათ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის (4-2-1), სომხეთისა (2-0-1) და აზერბაიჯანის (1-2-2) შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავეს.**


იური ლომაძის ხუთქულიანი სუპლექსი

უკვე ვწერდით, რომ ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებმა ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეორე დღეს მონაგარი კიდევ სამი მედლით გაიმდიდრეს. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა რიოს ოლიმპიადისა და 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, 23-წლამდელებში 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **შმაგი ბოლქვაძე.** სტარტზე მან თურქ ენეს ბასარის სძლია - 6:0, შემდეგ ედგარას ვენსკაიტისი (ლიტვა) დაამარცხა — 2:0, ნახევარფინალში ფრედრიკ ბიერეჰუუსს (დანია) აჯობა — 5:0, გადამწყვეტი პაექრობა კი არტიომ სურკოვთან (რუსეთი) დათმო.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე იყო **დათო ჩხარტიშვილი.** მანაც ოთხი ორთაბრძოლა გამართა. მიხაილ ტრაჩსა (პოლონეთი, 10:1) და არმენ მელიქიანთან (სომხეთი, 12:4) მიღწეული წარმატების შემდეგ ნახევარფინალში სერგეი ემელინთან (რუსეთი) დამარცხდა — 0:9, დამამშვიდებლის ფინალი კი გერმანელ ეტიენ კისინჯერთან ფრედ - 1:1 დაასრულა, მაგრამ ბოლო ქულის უპირატესობით მესამე ადგილი ერგო.

ხუთჯერ გავიდა საჭიდაო ხალიჩაზე **იური ლომაძე** (72 კგ). ქართველმა ფალავანმა ზედიზედ სამი მეტოქე დაჯაბნა — ილიე ქოიოკარი (რუმინეთი, 7:3), ტონი ტაპიო ოიალა (ფინეთი, 16:6), ალექსანდრ მაქსიმოვიჩი (სერბეთი, 5:0), ნახევარფინალი აზერბაიჯანელ რასულ ჩუნაევთან წააგო — 3:11. ბრინჯაოს მედლისთვის გადამწყვეტ პაექრობაში მოლდოველ დანიელ კატარაგას დაუპირისპირდა. თავიდან ჩვენებური 6:0 დაწინაურდა, მაგრამ მოლდოველმა წონასწორობა აღადგინა — 6:6. კატარაგამ შეხვედრაში თითქოს გარდატეხა შეიტანა, მაგრამ ერთ მომენტში წამიერი მოდუნება ძვირად დაუჯდა — ლომაძე ჯერ ხუთქულიანი სუპლექსით დაწინაურდა (ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების აღიარებით, ეს დღის საუკეთესო გდება იყო), მერე ჩოქბჯენიდან აქაჩა მეტოქე და მონაგარს კიდევ 5 ქულა მიუმატა, გაიმარჯვა 16:6 და მესამე ადგილი დაიკავა.

დღეს კასპიისკში მედლებისთვის პაექრობას თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დაიწყებენ. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი იანტბელიძემ რუსეთის ქალაქ კასპიისკში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა: **57 კგ — ოთარ გოგავა, 61 კგ — ბექა ლომთაძე, 65 კგ — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ამ წონაში პირველად იჭიდავებს), **70 კგ — ზურაბ იაკობიშვილი, 74 კგ — ავთანდილ კენჭაძე, 79 კგ — ჯუმბერ ყველაშვილი, 86 კგ — სანდრო ამინაშვილი, 92 კგ — ირაკლი მწითური, 97 კგ — ელიზბარ ოდიკაძე, 125 კგ — გენო პეტრიაშვილი.** დღეს 57, 65, 70, 79 და 97 კილოგრამი წონითი კატეგორიების წინასწარი ეტაპისა და ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. ამ წონებში საპრიზო სამეულების ვინაობა ხვალ გახდება ცნობილი. 5 მაისს 61, 74, 86, 92 და 125 კილოგრამის მოჭიდავეები მოსინჯავენ ძალებს. 6-ში კი მედლების ბოლო ხუთი კომპლექტი გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფრენბურთი

# „ცაგერი" საქართველოს ჩემპიონია

**ფრენბურთელ** ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალში ცაგერის გუნდმა „ქუთაისს" სძლია 3:0, ხოლო „თბილისმა" დაძაბულ პაექრობაში „ყვარელს" აჯობა 3:2. გადამწყვეტ ბრძოლაში ცაგერელებმა (თომა კალანდაძე, გიორგი არჯევანიძე, კახი ჩაკვეტაძე, ნიკა ფანჯარაძე, ილია გურეშიძე, გიგა ბენიძე, გიორგი ჩხოლარია, ლაშა ჩოხელი, კონსტანტინე გენინგი, გიორგი მერაბიშვილი, დავით მელაძე, გიორგი ივანიშვილი, დავით მურცხვალაძე, ირაკლი ბრეგვაძე, მთავარი მწვრთნელი დავით ლიპარტელიანი, გუნდის უფროსი გია სილაგაძე) დედაქალაქელებიც მშრალი ანგარიშით - 3:0 (25:21, 25:17, 25:21) დაამარცხეს და საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი „ყვარელს" ერგო, რომელმაც „ქუთაისს" 3:0 მოუგო.

— 27 წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატებში ვმონაწილეობთ, — გვითხრა **გია სილაგაძემ**. — ამ ხნის განმავლობაში 2005 და 2008 წლებში ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, 2012, 2015 და 2016 წლებში მესამე ადგილებზე გავედით. და აი, წლეულს პირველად გავხდით ქვეყნის ჩემპიონები, რამაც ძალიან გაგვახარა. რომ არა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მორალური თანადგომა და მატერიალური დახმარება, მიზანს ვერ მივაღწევდით. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა და გვიქომაგა. ვეცდებით, მათი იმედები მომავალშიც გავამართლოთ. ახლა პლაჟის ფრენბურთის საქართველოს ჩემპიონატისთვის მოვემზადებით. ამ შეჯიბრებებში ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი გვაქვს მოპოვებული. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წლეულს აქაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდეთ...

**ლაშა დიდია**



◎ ხელბურთი

# „ქარიშხალამ" „აჭარას" ვერ გადაუფრინა

**2002-2003 წლებში დაბადებულ საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ჩემპიონატში შვიდი გუნდი მონაწილეობდა. ფინიშამდე ორი ტურით ადრე ჩემპიონობის შანსი თბილისის „ქარიშხალას" და „აჭარას" ჰქონდათ, მაგრამ მე-11 ტურში მეორე ადგილზე მყოფმა დედაქალაქელებმა „სამტრედიასთან" წააგეს — 10:17, მთავარ კონკურენტმა „აჭარამ" (მარიამ ხოხბა, დიანა ქარჩავა, ხატია ქამაშაძე, თამარ ციცნარიძე, ნინო კომახიძე, მარიამ დვალიშვილი, თამუნა აიოზბა, ანა კოჩალიძე, მარიამ მურუსიძე, ანა ირემაძე, ნანა ძნელაძე, ნინო გაბეჩავა, მთავარი მწვრთნელი მაია შალამბერიძე) კი „ყვარელს" სძლია - 14:12, ოთხი ქულით ჩამოიტოვა „ქარიშხალა" და ჩემპიონობაც ვადამდე მოიპოვა, ვერცხლის მედლები თბილისელებს ერგოთ, მესამე ადგილი ფოთის „ოქროს ვერძმა" დაიკავა.**


ჩემპიონი „აჭარა"

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარა | 11 | 11 | 0 | 0 | 146:86 | 22 |
| ქარიშხალა | 11 | 9 | 0 | 2 | 173:138 | 18 |
| ფოთი | 11 | 6 | 1 | 4 | 130:107 | 13 |
| ყვარელი | 11 | 4 | 1 | 6 | 116:120 | 9 |
| პეგასი | 12 | 4 | 0 | 8 | 140:153 | 8 |
| სამტრედია | 11 | 4 | 0 | 7 | 111:151 | 8 |
| მამული | 11 | 0 | 0 | 11 | 74:135 | 0 |

**3 მაისი.** სამტრედია — ყვარელი, ფოთი — მამული, ქარიშხალა — აჭარა

**გივი გაგუა**

◎ ფეხბურთი

# ფინალში: „ლივერპული" — „რეალი"

**26 მაისს უკრაინის დედაქალაქი კიევი ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმასპინძლებს — ერთმანეთს ესპანეთის სამეფო კლუბი „რეალი" და ინგლისის „ლივერპული" დაუპირისპირდებიან. საგულისხმოა, რომ პრესტიჟული ევროტურნირის 1981 წლის გადამწყვეტ შეხვედრაში ინგლისელებმა სწორედ ესპანელებს მოუგეს 1:0.**



უკვე ვწერდით, რომ ფინალში ჯერ „რეალი" გავიდა. მეორე ნახევარფინალში იტალიის „რომა" ინგლისის „ლივერპულს" მასპინძლობდა, რომელთანაც პირველი მატჩი 2:5 ჰქონდა წაგებული. შეხვედრა რომაელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ ანგარიში მე-9 წუთზე „ლივერპულმა" (მანე) გახსნა. ექვსი წუთის შემდეგ სტუმართა კარში კურიოზული გოლი გავიდა: ლოვრენის დარტყმული ბურთი მილნერს მოხვდა თავში და... ინგლისელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. საფინალო სასტვენამდე ორივე გუნდმა კიდევ ოთხი გოლი გაიტანა (1:2 ვეინალდუმი (25-ე წთ.), 2:2 ჯეკო (52), 3:2 ნაინგოლანი (86), 4:2 ნაინგოლანი (90+4-პენ), „რომამ" გაიმარჯვა 4:2, მაგრამ ორი მატჩის ჯამში ერთბურთიანი უპირატესობით თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება „ლივერპულმა" მერვედ მოიპოვა.

ისე, მატჩის სლოვენიელ არბიტრ დამირ სკომინას მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინა, შესაძლოა, პაექრობის შედეგი სხვაგვარი ყოფილიყო. იტალიური „რომას" სპორტული დირექტორი მონჩი „ლივერპულთან" მატჩის შემდეგ მსაჯებს აკრიტიკებს: **„ვულოცავ „ლივერპულს" ფინალში გასვლას, მაგრამ დროა იტალიურმა ფეხბურთმა ხმას აუწიოს. რაც ხდება, ეს ნორმალური არაა. მსაჯების შეცდომების გარეშე ბევრი რამ შეიცვლებოდა. ჩვენ ერთი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გავუშვით და ორი საოცარი თერთმეტმეტრიანი არ დაგვინიშნეს. აქედან, ერთი წითელი ბარათიც... ვერ ვიგებ, ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირში ვიდეორეფერის სისტემა რატომ არაა. ვიდეორეფერი ფეხბურთს სჭირდება".** ინგლისური „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის იურგენ კლოპის აზრით, მისმა გუნდმა ფინალში თამაში დაიმსახურა: **„ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში პირველად თამაშობდა და ბუნებრივია, რომ ნერვიულობდნენ. ეს ნამდვილად იყო ემოციური, უფრო მეტად ემოციურიც კი, ვიდრე მსურდა. ჩვენ ფინალში თამაში 100%-ით დავიმსახურეთ და იღბალი არ დაგვხმარებია. „რეალს" კი, ბედმა ნამდვლად გაუღიმა „ბაიერნთან" შეხვედრაში",** — განაცხადა კლოპმა.

**ლევან ბარამიძე**

◎ რაგბი

# ლიტვაში - ოლიმპიადის საგზურისთვის

**წლეულს ბუენოს აირესი (არგენტინა) მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. მის პროგრამაში შვიდკაცა რაგბიც შედის.** ოკეანის გაღმა გასამგზავრებელი საგზურის მოპოვება კი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე შეიძლება, რომელსაც ლიტვა უმასპინძლებს. ტიტულისა და ოლიმპიადის ერთადერთი საგზურისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ: საქართველოს ნაკრები — საბა კურატიშვილი, გიორგი მიქანაძე, ლევან ბრეგვაძე (სამივე — „არმაზი"), იოანე იაშაღაშვილი, ოთარ ლაშხი (ორივე — „იუნკერები"), ლუკა ხეხელაშვილი („ლელო"), დავით გობეჯიშვილი, ირაკლი სიმსივე, თეიმურაზ კოხოძე, იაგო ხაბულიანი (ყველა — „აია"), დაჩი პაპუნაშვილი (არმია), ზაურ ლუტიძე („ხვამლი") C ჯგუფში დიდ ბრიტანეთს, ბელგიასა და ლიტვას დაუპირისპირდება.




A **ჯგუფი: ირლანდია, იტალია, რუსეთი, შვედეთი.**

B **ჯგუფი: საფრანგეთი, რუმინეთი, გერმანია, უკრაინა.**

D **ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, ლუქსემბურგი.**

**თამაზ პატარიძე**

უსაფრთხოება

# ახალ რეგულაციას მოუმზადებელი შეხვდნენ

**წლეულს 1 მაისიდან სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ კანონი ძალაში შევიდა. რეგულაცია, რომელშიც სრულადაა გაწერილი დასაქმებულისა თუ დამსაქმებლის ვალდებულებები, სწავლების აუცილებლობასაც მოითხოვს. კერძოდ, სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტრენინგი, რომლის გავლის შემდგომაც სპეციალისტმა ყოველ სამ თვეში ერთხელ ობიექტზე თანამშრომლებისთვის ინსტრუქტაჟი უნდა ჩაატაროს. აღნიშნული კანონმდებლობა ეხება სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის მშენებლობასაც. როგორც ირკვევა, სამშენებლო კომპანიების უმეტესობას კანონის ამოქმედებამდე სწავლების ვალდებულება არ გაუვლია.**



კანონით გათვალისწინებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ სწავლებას აქტიურად ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტი. როგორც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი შოთა ნიჟარაძე „კომერსანტთან“ აღნიშნავს, კურსი 5-კვირიანია და მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. მათ შორისაა, სიმაღლეზე მუშაობა, პირველადი დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება, საკანონმდებლო ნორმები და ა.შ.

**„შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ჩვენთან გადის ტრენინგ კურსს, იღებს სპეციალურ სერტიფიკატს, რომელსაც ჩვენ შრომის უსაფრთხოების ასოციაციასთან ერთად გავცემთ. რაც შეეხება მომართვიანობას, ევროპის ქვეყნებთან შედარებით ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული სწავლება. უხეშად, რომ ვთქათ, 100 სამშენებლო კომპანიიდან 7-8 თუ გამოაგზავნის თავის სპეცილისტს ტრენინგზე. ბაზარზე არის სხვა სასწავლო ცენტრებიც, მაგრამ ზოგადი ციფრები მაინც მკვეთრად დაბალია. მიმდინარე წელს ოდნავ იმატა მომართვიანობამ, რაც კანონის შემოღებამ განაპირობა. ახლა, მისი ამოქმედების შემდეგ ციფრები ალბათ უფრო გაიზრდება“**, — განმარტავს ნიჟარაძე.

„კომერსანტი“ დაინტერესდა კონკრეტულად რომელმა და რამდენმა სამშენებლო კოპანიამ მიმართა კავკასიის უნივერსიტეტს კურსის გასავლელად კანონის ამოქმედებამდე და მის შემდეგ. სია ასე გამოიყურება:

სამშენებლო კომპანიები, რომელთა წარმომადგენლები ამჟამად გადიან ტრეინინგს (ჯამში 9 კომპანია): ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი, იუნიქს დეველოპმენტი, ბარკოდ კონსტრაქშენ, BK CONSTRUCTION, ჰაუსლაინი, თი ენდ გრუპ, ეპიკ კონსტრაქშენ აი სი ი, თი ენდ გრუპ.

სამშენებლო კომპანიები, რომელთა წარმომადგენლებმა 2018 წლის 1 მაისამდე გაიარეს ტრენინგი (ჯამში 12 კომპანია): BG Group, M2 შპს Construction service, თბილცემენტი, არქიტექსი, შპს ბალავარი, შპს „ტრიჯიტი“, შპს „დათუნი“, შპს ბილდინგ ბეთერს სითი, შპს გროს ენერგი ჯგუფი, შპს ოცნების სახლი, შპს რენესანს კონსტრაქშენი.

როგორც „მენაშენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი აცხადებს, არაოფიციალური სტატისტიკით თბილისის მასშტაბით დაახლოებით 200-მდე სამშენებლო კომპანიაა.

რაც შეეხება იმ სამშენებლო კომპანიების პოზიციას, რომელთაც ტრენინგ კურსი ჯერ არ გაუვლიათ, მათი პოზიცია ასეთია:

**„ვიცით, რომ სწავლების გავლა სავალდებულოა. ამ დრომდე არ გაგვილია ტრენინგ კურსი, მაგრამ აუცილებლად ვგეგმავთ რომ გავაგზავნოთ რამდენიმე თანამშრომელი სასწავლო ცენტრში“**, — აცხადებს GDG+-ს დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე.

**„ჯერ არ გაგვიგზავნია თანამშრომლები სასწავლებლად, მაგრამ ვიცი რომ რამდენიმე სასწავლო ცენტრია და სავარაუდოდ რომელიმესთან უახლოეს მომავალში გავაფორმებთ ხელშეკრულებას. რაც შეეხება თავად ტრენინგ კურსს, ნამდვილად საჭიროა, რადგან შესაძლოა, მუშამ მოიხმაროს ქამარი, მაგრამ შესაბამისი ინსტრუქტაჟის არცოდნის გამო, არასწორად მოიხმაროს ეს ქამარი. ვგეგმავთ, რომ დაახლოებით ერთ თვეში გავაგზავნოთ სასწავლო ცენტრში რამდენიმე თანამშრომელი“**, — განმარტავს სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი.

**სალომე ლემონჯავა**

## სანთელი

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის ტექნიკური ზედამხედველი

**ალეკო გოგოტიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

## განცხადება

2018 წლის 31 მაისს დღის 12 საათზე დანიშნულია ს.ს. „ლაღიძის“ აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. 2027 წლის ბალანსის განხილვა;
2. მოგების განაწილება.

**დირექცია**

**მისამართი:** ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №150.




# მკვლელობა ხაშურში

**ხაშურში, სოფელ ალში მკვლელობა მოხდა. ორ მამაკაცს შორის დაწყებული ფიზიკური დაპირისპირების დროს, ერთმა მეორეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი ადგილზე დაიღუპა. მომხდარი სავარაუდოდ ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი, რომელიც გარდაიცვალა, ყოფილ რძალთან სახლში, თანმხლებ პირებთან ერთად მივიდა, სადაც მას ყოფილი რძლის ქმარი და მისი ძმა დახვდნენ.**

დაპირისპირების შედეგად, ყოფილი რძლის სახლში მისული ყოფილი მაზლი გარდაიცვალა, ხოლო ქმარი და ძმა დაჭრილები არიან. ისინი საავადმყოფოში მოათავსეს.

# „გირჩის“ წევრები „ნარკობარიგა“ მირიან სარიშვილს იცავენ



**პირი, რომლის დაცვასაც პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ წევრები ცდილობდნენ მირიან სარიშვილია. პოლიციის ინფორმაციით ის ნარკოტიკს უკანონოდ ასაღებდა, რის გამოც სამართალდამცველებმა მისი გაჩხრეკა გადაწყვიტეს, ამაში კი ხელი „გირჩის“ წევრებმა შეუშალეს.**

# ბათუმში სპორტული კომპლექსის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს

**სამუშაო პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე გაეცნენ.**

ამ ეტაპზე ტერიტორიის რკინა-ბეტონით საძირკვლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რის შემდეგაც საძირკვლის შევსების, მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტებისა და ნოლნიშნულამდე კედლების მოწყობის სამუშაოები დაიწყება.




პროექტის ფარგლებში პარალელურად ტერიტორიის ეზოს და პარკირების ადგილის ფუძის მოწყობა ხორციელდება. სამუშაოებში დღეისათვის 60 ადამიანია დასაქმებული.

3400 მაყურებელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსის სამშენებლო ფართი დაახლოებით 23 000 კვ.მეტრია და იქ სხვადასხვა სპორტული სახეობის სექცია განთავსდება:

სპორტული ტანვარჯიშისა და მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი; ბ/რ ჭიდაობის დარბაზი; თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი; სპორტული ცეკვების დარბაზი; ჭადრაკის დარბაზი; ტაეკვონდოს დარბაზი; ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი; უნივერსალური ტრანსფორმირებადი დარბაზი; კრივის დარბაზი. უნივერსალური და სპორტული ტანვარჯიშის დარაბზები დაგეგმარებულია მომიჯნავედ ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი ერთ სივრცედ გაერთიანება იქნება შესაძლებელი.

გარდა ძირითადი ფუნქციონალური დარბაზებისა თანამედროვე სტანდარტების სპორტულ კომპლექსში ადმინისტრაციული ფართები, საკონფერენციო დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, VIP ზონა და მედიისთვის განკუთვნილი ადგილები, ასევე გასახდელები და სხვა დამხმარე ობიექტები მოეწყობა.

შენობას ასევე ღია ავტოსადგომი ექნება. კომპლექსი შშმ პირებისთვის იქნება ადაპტირებული.

მშენებლობის ღირებულება 61 977 777 ლარია.

# ტყეები კვლავ უკანონოდ იჩეხება

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა 2018 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 442 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 32 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულების ნიშნებს შეიცავს.**

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი - 75 ფაქტი გამოვლინდა ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, აჭარის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით 19 ფაქტი დაფიქსირდა, იმერეთში - 58 ფაქტი, გურიაში - 8, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში - 30, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე - 42 ფაქტი, მცხეთა-მთიანეთში - 20 ფაქტი, შიდა ქართლში - 61, კახეთის მასშტაბით - 70 ფაქტი, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე - 59 ფაქტი.

ჯამში ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 2430 მ3-მდე ხე-ტყე.

ამავე პერიოდში, სახერხი საამქროს რეგლამენტის დარღვევის 65 ფაქტი დაფიქსირდა. ამოღებულია და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოშია გადატანილი 16 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.



◎ ერიჯა!

# სადილი, რომელიც ცენტნერს იწონის

## ინდოეთის სოფელში მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი ცხოვრობს

**72 წლის ზიონ ჩანი შინ მარტო არასდროს რჩება, ამის მიზეზი მარტივია — ამ კაცს 39 ცოლისგან(!) 94 შვილი და 33 შვილიშვილი ჰყავს!**

იგი მრავალცოლიანობის მომხრეთა სექტის დამაარსებელია. პირველი ქალი მან 17 წლის ასაკში შეირთო. ამჟამად მისი პირველი ცოლი 75 წლისაა, ყველაზე უმცროსი, 39-ე ცოლი კი — 35 წლის. ქმართან ცოლები რიგრიგობით წვებიან, თან ირწმუნებიან, რომ მათ შორის ქიშპობა არ არის. **„არც ერთი მათგანისთვის ცოლობა არ დამიძალებია, ყველასთან სიყვარულით შევერთდი“,** — ამბობს ჩანი ჟურნალისტებთან საუბრისას.

ჩანის უფროსი ვაჟიშვილი 55 წლისაა, მას 14 შვილი ჰყავს. შვილებიდან იგი ერთადერთია, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და ორჯერ იქორწინა. დანარჩენებმა კი მრავალცოლიანობა ვერ გარისკეს. ჩანმა 26 ქალიშვილი გაათხოვა, რომლებიც მამის სამსართულიან სახლში აღარ ცხოვრობენ.

ამ სახლში 100 ოთახი და 17 სააბაზანოა(2), არის საოჯახო სკოლა, რომლის მუშაობაზე ზიონის ძმაა პასუხისმგებელი. ცხოვრება აქ 5:30 იწყება, როცა ყველანი თავს იყრიან ლოცვის აღსავლენად, შემდეგ კი 21 საათზე წყდება, როცა შუქი ითიშება. მოვალეობები განაწილებულია — ცოლები სადილს ამზადებენ (3): ოჯახს გამოსაკვებად ყოველდღიურად 100 კილო ბრინჯი, 60 კილო კარტოფილი, 70 კილო ქათმის ხორცი და 10 ლიტრი რძე სჭირდება. საუზმე 2 საათს გრძელდება, ვინაიდან ერთდროულად მისი ყველასთვის მიცემა შეუძლებელია (4). ქალიშვილები სახლს ალაგებენ, სარეცხს რეცხავენ, მამაკაცები მესაქონლეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მისდევენ, ავეჯსა და ალუმინის ჭურჭელს ამზადებენ.

ბატონი ზიონი ირწმუნება, რომ თავისი ოჯახის ყველა წევრის სახელი იცის, თუმცა კი რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, უცნობია. საქმე ისაა, რომ ნათესავების რაოდენობის დასახელებისას იგი მუდამ სხვადასხვა „ჩვენებას“ იძლევა.

**მოამზადა**
**ლალი ხუნდაძემ**





## ბოტანიკურ ბაღსა და წავკისის წყლის ხეობაში ველობილიკი და საფეხმავლო გზა მოეწყობა

**ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა და წავკისის წყლის ხეობაში ველობილიკისა და საფეხმავლო გზის გაყვანა იწყება. ამის შესახებ კულტურული და შემოქმედებითი ხელოვნების პლატფორმის პრეზენტაციაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა. მისი თქმით, პროექტი ფონდ „ქართუს“ საჩუქარია. „მალე ჩვენ ვიწყებთ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას. ბოტანიკური ბაღისა და წავკისის წყლის ხეობაში გაკეთდება ველობილიკი და საფეხმავლო გზა, რომელიც თანამედროვე სტანდარტის იქნება და მგონია, რომ ამ ადგილს მისცემს კიდევ ძალიან დიდ შესაძლებლობას, რომ ის სწორად იყოს გამოყენებული. ამ პროექტს საჩუქრად ფონდი „ქართუ“ უკეთებს დედაქალაქს და ამისათვის მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს“, — განაცხადა კახა კალაძემ.**



პროექტის — „თბილისის ცის ქვეშ“ პრეზენტაცია გუშინ ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა. ღონისძიებას ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# ლუკაშ ვონდრაჩეკი თბილისს ეწვევა

**6 მაისს, 19:00 საათზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება მსოფლიოში სახელგანთქმული ჩეხი პიანისტის ლუკაშ ვონდრაჩეკის კონცერტი. პროექტი ხორციელდება „ელისო ვირსალაძის ცენტრის“ ორგანიზებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და თბილისის მერიის მხარდაჭერით.**

ლუკაშ ვონდრაჩეკი ბრიუსელის დედოფალი ელისაბედის პიანისტთა კონკურსის 2016 წლის გრან-პრის მფლობელია. მას ახალი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო პიანისტად მიიჩნევენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. იგი მართავს კონცერტებს ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც არიან პაავო იარვი, ჯანანდრეა ნოსედა, მარინ ოლსოპი, კრისტოფ ეშენბახი და სხვ.




ლუკაშ ვონდრაჩეკის საკონცერტო გრაფიკი მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტს და ქალაქს მოიცავს. ნიუ-იორკის კარნეგი ჰოლის, ლონდონის უიგმორ ჰოლის, ამსტერდამის კონსერტხებაუს, ვენის კონცერტჰაუზის, ციურიხის ტონჰალეს მსმენელი ფეხზე ამდგარი უკრავდა მას ტაშს. საქართველოში ლუკაშ ვონდრაჩეკმა პირველად 2017 წლის შემოდგომაზე დაუკრა, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე თელავში, ახლა კი თბილისელი მსმენელის წინაშე წარდგება.

პროექტის პარტნიორები: სარეკლამო კომპანია „ალმა“, სასტუმრო „მუზეუმი“, რესტორნები „შავი ლომი“ და „ბარბარესთან“, საინფორმაციო სააგენტო GHN, საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო პირველი არხი და რადიო „ფორტუნა“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4563; ევრო - 2.9488;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3563;
100 რუბლი - 3.8531; თურქული ლირა - 0.5937;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4506;
1000 სომხური დრამი - 5.0750.

**ამინდი 4 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე | +28 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge